პრეზიდენტმა პარლამენტარები კიდევ ერთხელ გააოცა A3
„გაზპრომი" თურქეთს უჩივის A5
TV პროგრამა A8

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 1 ივლისი, 2003 წელი. №178 (390)
ფასი 30 თეთრი

# შეთანხმდით, რაზეც გინდათ, ოღონდ – შეთანხმდით!

ემუდარებიან უცხოელი ელჩები საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას



უცხოელი დიპლომატები შეშფოთებულები არიან.

გიორგი ასანიშვილი

საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ გაჩაღებულმა ვნებათაღელვამ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატებიც ჩაითრია. გუშინ ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა პარლამენტის თავმჯდომარესთან ელჩების სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ფრაქციათა ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ. აღნიშნული ჯგუფი 2002 წლის ბოლოს ჩამოყალიბდა და მიზნად ისახავს, საქართველოს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში დახმაროს. სამუშაო ჯგუფი შედგება 14 ელჩისგან, რომლებიც აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, გერმანიას, თურქეთს, საბერძნეთს, ისრაელს, იტალიას, ჰოლანდიას, ჩეხეთს, რუმინეთს, აგრეთვე ევროკომისიას, ეუთო-სა და გაერო-ს წარმოადგენენ.

დიპლომატებს, როგორც ჩანს, ქართველი პოლიტიკოსების ინტრიგები და უსასრულოდ გაჭიანურებული კონსულტაციები ყელში ამოუვიდათ და მათგან შეთანხმების მიღწევას ითხოვენ, თანაც, რაც შეიძლება სასწრაფოდ.

გაგრძელება A3 გვერდზე

## სავალუტო ფონდი მთავრობას 48 საათს აძლევს

*სავალუტო ფონდის მისიამ საქართველოს მთავრობას 48-საათიანი ვადა მისცა იმ კონკრეტული გეგმის წარმოსადგენად, რომლითაც ხელისუფლებამ ფინანსური კრიზისი უნდა დაძლიოს. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პაოლო ნეუჰაუსთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა. სახელმწიფო მინისტრი კი, ოპტიმისტურად არის განწყობილი. მან უკვე შესთავაზა სსფ-ის მისიას 1998-2001 წლების საპენსიო თუ სახელფასო დავალიანებების ობლიგაციებით გასტუმრების იდეა და ირწმუნება, რომ ფონდმა თანხმობა მისცა. სახელმწიფო კანცელარიაში განაჩენის ტოლფასი მემორანდუმის ტექსტს უკვე ოთხშაბათს ელოდებიან.*

სოფო კვინტრაძე

მთავრობისა და სავალუტო ფონდის შეხვედრები დღითიდღე უფრო დაძაბული ხდება. გუშინ ფინანსთა სამინისტროში გამართული შეხვედრისას, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძეც ესწრებოდა, ფონდმა შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ მთავრობა ბიუჯეტის სეკვესტრს პარლამენტთან შეთანხმების გარეშე აპირებდა. პაოლო ნეუჰაუსმა მოითხოვა - ბიუჯეტის 85 მილიონი ლარით კორექტირების გეგმა პარლამენტმა საგანგებო სესიაზე განიხილოს. ამას გარდა, სავალუტო ფონდი ფინანსთა სამინისტროს

გაგრძელება A3 გვერდზე

## გიგლა აგულაშვილი „შავი სამყაროს" დიქტატს ახალ პოლიტიკას უპირისპირებს

*იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ოპერატიული სამსახური და პოლიცია კოლონიიდან გაქცეული შვიდი პატიმრის ძებნას კვლავ აგრძელებენ, თუმცა, ჯერჯერობით, უშედეგოდ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის განცხადებით, გაქცეულთა დასაკავებლად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. "24 საათის" კითხვებს პასუხობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი.*

ინგა ალავიძე

**- გაქცეული პატიმრების შესახებ კონკრეტულ ინფორმაციას თუ ფლობთ?**

- გვაქვს გარკვეული ოპერატიული ინფორმაციები; ვიცით, თითოეული მათგანი რას წარმოადგენს, რისი გამკეთებელია, რა მიმართულებით შეიძლება გადაადგილდნენ, რა კავშირები აქვთ. ეს წმინდა ოპერატიული ინფორმაციაა და დეტალებს, ცხადია, ვერ გეტყვით. შემიძლია გითხრათ, რომ ძებნაში აქტიურად არის ჩართული პოლიცია და ტარდება ერთობლივი ღონისძიებები.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ანტი-ჰოლივუდელი და ჰოლივუდის ლეგენდა



დღეს საღამოს ქეთრინ ჰეპბერნის ხსოვნის პატივსაცემად ბროდვეიზე რამდენიმე ხნით სინათლე ჩაქრება.

ჯორჯ ბუში გუშინ იძულებული გახდა, დროებით მოწყვეტოდა პოლიტიკურ თემებს და სამგლოვიარო დეპეშის ტექსტი შეედგინა. ქეთრინ ჰეპბერნის გარდაცვალების გამო, აშშ-ს პრეზიდენტთან და მის მეუღლესთან ერთად, გუშინ სინანულს გამოთქვამდა მთელი ჰოლივუდიც. მათ სათავეში ელიზაბეთ თეილორი ედგა. ის ჰეპბერნთან ერთად 1959 წელს გამოსულ ფილმში "მოულოდნელად შარშან ზაფხულს" თამაშობდა. გლოვობდნენ ჰოლივუდის ბულვარზეც, სადაც, ჰეპბერნის ვარსკვლავთან მის თაყვანისმცემლებს ყვავილები და სანთლები მიეტანათ და საყვარელ მსახიობს იგონებდნენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

## შუაღამისას

### თბილისის ცენტრში ისვრიან

გვიან ღამით თბილისის მე-5 საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვი) რთული ოპერაცია გაუკეთეს გიორგი ახმეტელს, რომლის მდგომარეობაც კვლავ უკიდურესად მძიმეა.

ყველაფერი კი თბილისის ცენტრში მორიგი განგსტერული სცენით დაიწყო. სასტუმრო "საქართველოს" მიმდებარე ტერიტორიაზე გუშინ საღამოს კარგა ხანს ისმოდა სროლის ხმა. ჯერ იყო და მელიქიშვილის გამზირიდან თარხნიშვილის ქუჩაზე მიმავალ "ნივას" გზა მოუჭრა "ბე-ემ-ვეს" მარკის ავტომანქანამ და იქ მსხდომებმა "ნივის" მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. სროლის შედეგად, "ნივის" მძღოლმა და ორმა მგზავრმა – კახა სანიკიძემ, გიორგი ახმეტელმა და გიორგი ცინცაძემ სხვადასხვა სახის ჭრილობა მიიღეს. მათ შორის ყველაზე მძიმედ – თავში დაჭრილია კახა სანიკიძე. "ბე-ემ-ვე"-ში მსხდომნი, აგრეთვე სამნი, დიდი სიჩქარით მოშორდნენ შემთხვევის ადგილს. მაგრამ, გზად მთაწმინდა-კრწანისის პოლიციის შემოვლით ჯგუფს გადაეყარნენ. კვლავაც ატეხილი ორმხრივი სროლის შემდეგ, ამჯერად პოლიციელებსა და თავდამსხმელებს შორის, ბოროტმოქმედებმა მიმალვა მაინც მოახერხეს.

მომხდარიდან ძალიან მალე სამართალდამცველებს მათი ვინაობა უკვე დადგენილი ჰქონდათ. თავდამსხმელთაგან ერთი, მათი ინფორმაციით, კრიმინალურ სამყაროში ცნობილი ავტორიტეტია, რომლის სახელსა და გვარს პოლიციაში საგულდაგულოდ ასაიდუმლოებენ. პოლიციას მომხდარის ერთადერთი და როგორც ამბობენ უტყუარი ვერსია აქვს – თარხნიშვილის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტი რამდენიმე ხნის წინ დაწყებული ქუჩური გარჩევების გაგრძელებაა. მათი ინფორმაციით, სამივე თავდამსხმელი დავით აღმაშენებლის გამზირის მიდამოებში ცხოვრობს. როგორც სააგენტო "ექსპრესმა" შეგვატყობინა, ორი მათგანი მრავალჯერ ნასამართლევია. უკანასკნელად კი ისინი იარაღის ტარებისათვის დააკავეს.

გუშინ ღამით პოლიციამ გაჩხრიკა მათი ბინები, სადაც, ცხადია, თავდამსხმელები არ დახვედრიან. მიუხედავად ამისა, სამართალდამცველებს იმედი აქვთ, რომ უახლოეს მომავალში ბოროტმოქმედებს დააპატიმრებენ.

## სპორტი

### "დინამო" ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს უშინაურდება

"დინამოში" ბრაზილიელ და არგენტინელ თავდამსხმელებს ელიან. რუიტში უკვე ჩავიდა არგენტინის ტიტულოვანი გუნდის, "რივერ პლეიტის" ახალგაზრდა ფეხბურთელი, 21 წლის გუერო ფედერიკო რობერტო. მალე "დინამოს" ბრაზილიის "კურიტიბას" ფეხბურთელი, ტეშერიც შეუერთდება.

A6

## რევიუ

### კარგი ქურდი მგლების კომპანიიდან

თბილისს ეწვევა ჰოლივუდური ფილმის "კარგი ქურდის" შემოქმედებითი ჯგუფი. მათ საქართველო ნუცა კუხიანიძის გამო გაახსენდათ, რომელიც ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. მას პარტნიორობას ნიკ ნოლტი უწევს. ნოლტისთან ერთად თბილისში ჩამოვა ფილმის რეჟისორი ნილ ჯორდანიც.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | |
| ბათუმი | 26 | |
| სოხუმი | 27 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლ | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

## პრობლემა, რომელიც ყველამ მიივიწყა

ამომრჩეველთა სიებს კვლავ გაყალბება ემუქრება

*ცესკო-ს ირგვლივ ატეხილმა ხმაურმა და პარტიებს შორის მიმდინარე დაუსრულებელმა კონსულტაციებმა თითქოს გადაფარა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა – ამომრჩეველთა სიები. არადა, როგორც არჩევნების პრაქტიკამ აჩვენა, მისი შედეგების გაყალბებისას "ლომის წილი" სწორედ ამომრჩეველთა "ფალსიფიცირებულ" სიებზე მოდის.*

თამარ მჭედლიშვილი

სამწუხაროდ, პოლიტიკური პარტიების მიერ ამ ვაჭრობის გამო მივიწყებული სიები მომავალში არაერთი დაპირისპირების საგანი გახდება, რადგან უკვე არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ ეს მონაცემები კვლავ გაბერილი იქნება.

დღეს საქართველოში არ არსებობს არც ერთი ოფიციალური სტრუქტურა, რომელიც მიახლოებით მაინც დაასახელებს ამომრჩეველთა რიცხვს. დღემდე გამართული ნებისმიერი არჩევნების მიმდინარეობის ელემენტარული ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს რიცხვი პარტიების ინტერესებიდან და მათი ურთიერთგარიგებებიდან

გაგრძელება A2 გვერდზე

## პრეზიდენტს არ სურს, ოპოზიციასთან მისი შეხვედრა გამჭვირვალე იყოს

*გუშინდელ ბრიფინგზე პრეზიდენტმა შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი მზად არის, ოპოზიციას შეხვდეს და საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებზე ესაუბროს, ოღონდ პრესის თანდასწრებით არა. საინტერესოა, რა აქვს ბატონ პრეზიდენტს პრესასთან დასამალი?*

ვერიკო თევზაძე

### ვერ ხედავს...

თუ საარჩევნო კოდექსი არ შეიცვლება, პრეზიდენტის აზრით, ეს **"სამწუხარო იქნება",** მაგრამ, იმავდროულად, ამაში ბატონი პრეზიდენტი **"ვერავითარ ტრაგედიას ვერ ხედავს".**

შევარდნაძე მზად არის, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეხვდეს როგორც ოპოზიციურ გართიანებებს, ასევე ხელისუფლების მხარდამჭერ პოლიტიკურ ძალებს, თუმცა ამ ეტაპზე **"ამის მიზანშეწონილობას ვერ ხედავს".**

გაგრძელება A2 გვერდზე

## მარკ ბჟეზინსკი: პანკისი ჩეჩნებისათვის კორიდორად რჩება

შოთა უტიაშვილი

„ჩეჩნეთში უცხოელ მეომართა შეღწევის აღსაკვეთად საზღვრის გამაგრების მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. რუსეთმა უზარმაზარი ზეწოლა განახორციელა საქართველოზე, მაგრამ მიუხედავად საქართველოს მთავრობის მცდელობისა (და აშშ-ის დახმარებისა), უცხოელი მებრძოლები და აღჭურვილობა მაინც აღწევს ჩეჩნეთში. პანკისის ხეობა ჩეჩნებისათვის კორიდორად რჩება," – წერს გუშინდელ „ფაინენშიალ თაიმსში" მარკ ბჟეზინსკი, რომელიც კლინტონის დროს ეროვნული უშიშროების საბჭოში რუსეთისა და ევრაზიის მიმართულებას ხელმძღვანელობდა.

ანალოგიური განცხადებები ამ ბოლო დროს არაერთხელ გამოჩნდა. მხოლოდ პუტინმა ბოლო კვირების განმავლობაში ამ თემაზე ორჯერ ისაუბრა და ორჯერვე განაცხადა, რომ ხეობაში ჩეჩენი მებრძოლები ისევ არიან.

ახლახან "ნიუ-იორკ თაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში (რომლის თარგმანი „24 საათმა" ადრე შემოგთავაზათ) საუბარი იყო იმაზე, რომ ხეობაში ამჟამად 50-მდე ჩეჩენი და არაბი მებრძოლი რჩება, მთავრობა კი მათ გაძევებას არ ჩქარობს.

უფრო ადრე იყო ტელეკომპანია "ეი-ბი-სი"-ს სენსაციური ინფორმაცია, რომელმაც საქართველო, არც მეტი - არც ნაკლები, განახლებული "ალ ქაიდას" ცენტრად გამოაცხადა. თავად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ჯერ კიდევ შემოდგომაზე აცხადებდნენ, რომ პანკისის პრობლემა დღის წესრიგში ისევ დადგებოდა, როგორც კი კავკასიონის გადასასვლელებზე თოვლი დნობას დაიწყებდა.

გაგრძელება A5 გვერდზე

## „მხედრიონი" პოლიტიკიდან მიდის

სოფო ბუკია

**"მხედრიონი პოლიტიკურ რეგისტრაციაზე უარს ამბობს, ჩვენ ამ ეტაპზე აღარ ვიქნებით საქართველოს პოლიტიკურ სიბრტყეზე,"** – ამ განცხადებას "მხედრიონი" ჯაბა იოსელიანის გარდაცვალების შემდეგ მოწვეულ პირველსავე პრესკონფერენციაზე აკეთებს.

ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ვნებათაღელვა "მხედრიონის" მიღმა ჩაივლის, ჯაბა იოსელიანის თანაგუნდელები პარლამენტში მოსახვედრად ერთიან ბრძოლას არ აპირებენ. თუმცა, "მხედრიონის" წესდების თანახმად, ამ ორგანიზაციის წევრებს შეუძლიათ მომავალ პარლამენტში სხვა პოლიტიკური პარტიების სიით ან მაჟორიტარული წესით მოხვდნენ.

გაგრძელება A3 გვერდზე



დოდო გუგეშაშვილი არ მიიჩნევს, რომ "მხედრიონი" იშლება.

A2 ამბები A3 ამბები A4 ამბები A5 უცხოეთი A6 სპორტი A7 რევიუ A8 სხვადასხვა

## ორი სიტყვით

**თბილისი.** "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსი" გუშინ "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციაში გაერთიანდა. ეს გადაწყვეტილება "ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის" თავმჯდომარემ გიორგი კობახიძემ "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის შეკრებაზე მიიღო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო სუუამ-ის თავმჯდომარე ქვეყნის ფუნქციას ასრულებს და 3-4 ივლისს უკრაინაში დაგეგმილ სამიტზე ძირითადი მომხსენებელი იქნება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მხარეს უკვე გადასცა დოკუმენტის პროექტი, რომელშიც დაფიქსირებულია აფხაზეთიდან სამშვიდობოების გაყვანის აუცილებლობა, თუკი ამას რომელიმე მხარე მოითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იალტაში 3-4 ივლისს დაგეგმილ სუუამ-ის ქვეყნების სამიტს ყაზახეთის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები არ დაესწრებიან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობასა და თბილისში მიმდინარე ჩეჩენი ლტოლვილების შიმშილობის აქცია ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, რომელიც 40 დღე გრძელდებოდა, გუშინ შეწყდა. ამის შესახებ აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ბაუდინ ითაევმა განაცხადა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩნეთიდან დევნილთა, დაახლოებით, ოცი ოჯახი პანკისის ხეობიდან სამშობლოში გაემართა, მას შემდეგ, რაც ივნისის დასაწყისში თბილისში რუსეთის უწყებათაშორისო დელეგაციასთან მოლაპარაკებები შედგა, რომელიც დევნილთა დაბრუნების საკითხებზე მუშაობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, ქვემო ქართლში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული, სახელისუფლებო ბლოკის "ახალი საქართველოსათვის" ერთ-ერთი ლიდერი ლევან მამალაძე, ქვეყანაში მიმდინარე წინასაარჩევნო პროცესების განსახილველად, საქართველოში აშშ-ს ელჩს რიჩარდ მაილსს შეხვდა. ლევან მამალაძემ აშშ-ს ელჩს თხოვნით მიმართა - ქვემო ქართლში არჩევნებზე უცხოელ დამკვირვებელთა დასწრება მაქსიმალურად მოხდეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაცია "გაერთიანებული დემოკრატები", რომელსაც პარლამენტის ექსსპიკერი ზურაბ ჟვანია ხელმძღვანელობს, შემოდგომიდან საპროტესტო აქციებს განაახლებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სანაპირო დაცვის სამსახურის რეფორმირების საკითხი ერთ-ერთი ძირითადი იქნება აშშ-ში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძის ხუთდღიანი სამუშაო ვიზიტისას, რომელიც 12 ივლისს დაიწყება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო პალატა ქისტი ბრალდებულების - რობინზონ მარგოშვილისა და გიორგი კუშტანაშვილის პატიმრობიდან გათავისუფლების კანონიერებას განიხილავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მე-4 და მე-5 განყოფილებების თანამშრომლებმა დააკავეს ქუთაისში მცხოვრები, სამჯერ ნასამართლევი, 30 წლის კარლო მუკბანიანი, რომელიც ორ პირთან ერთად თავს დაესხა სულიკო ნიშნიანიძის ოჯახს და გაიტაცა 150 აშშ დოლარი, 100 ლარი და ოქროს სამკაულები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინწინ, მესტიის რაიონში მომხდარი მკვლელობის შემდეგ, სოფელ ბეჩოს მოსახლეობა მესტიის პოლიციის შენობის აღებას ცდილობდა. თავდამსხმელები შეიარაღებულები იყვნენ, თუმცა, ეს ფაქტი სამხარეო პროკურატურაში სულაც არ უკვირთ: "სვანეთში იარაღი თითქმის ყველას აქვს", - ამბობს მხარის პროკურორის მოადგილე მებრძოლი ჭკადუა. პოლიციაზე თავდასხმის შემდეგ ბეჩოში გზაც გადაკეტეს. აქციის მონაწილეები მკვლელის დაკავებას ითხოვდნენ. **ექსპრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციას ჩაბარდა მესტიაში მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილი პაატა ქავთარაძე, რომელსაც ორი დღის განმავლობაში პოლიცია ეძებდა. მან ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გახსნა, რის შედეგადაც დაიღუპა 24 წლის შავგენ გაბულდანი. გაბულდანის ოჯახის წევრები პაატა ქავთარაძისთვის სასჯელის უმაღლეს ზომას მოითხოვენ. წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის აღებით იმუქრებიან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკმა ახალი სოციალური ინვესტიციების მეორე პროექტი დაამტკიცა, ხოლო მომდევნო სამი წლის განმავლობაში 91 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფაა გათვალისწინებული. სულ მალე მსოფლიო ბანკი საქართველოში ახალ წარმომადგენელს გამოაგზავნის. **პრაიმ-ნიუსი**

# გიგლა აგულაშვილი „შავი სამყაროს" დიქტატს ახალ პოლიტიკას უპირისპირებს

პირველი გვერდიდან

**- ბოლო თვენახევრის განმავლობაში საპატიმრო ადგილებიდან 35 პატიმარი გაიქცა. ფაქტობრივად, არც ერთი მათგანი დაპატიმრებული არ არის. მხოლოდ ორის ლიკვიდაცია მოხდა. რატომ გაჭირდა მათი დაკავება?**

- ძებნის ეფექტურობა ხშირად დამოკიდებულია გატარებული ღონისძიებების ხარისხზე, თუნდაც ერთ ფაქტორზე – საზოგადოების მონაწილეობაზე. გაქცეულს, ბუნებრივია კონტაქტი აქვს გარე სამყაროსთან. მაგალითს მოგიყვანთ: რუსეთში საპყრობილიდან, დაახლოებით, 15 კაცი გაიქცა. ამასთან დაკავშირებით, საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა ცნობა, რომ ყველა მათგანი დაავადებულია საშიში, გადამდები ინფექციური დაავადებით. მოსახლეობამ მაშინვე ყველა მათგანის ადგილსამყოფელის შესახებ შეატყობინა სამართალდამცველებს და ისინი უპრობლემოდ დააპატიმრეს. ამგვარი თანამშრომლობა ჩვენს საზოგადოებასთან ჭირს. ამის მიზეზი, ალბათ, ის გახლავთ, რომ არის გარკვეული გაუცხოება ძალოვნებსა და საზოგადოებას შორის. ამასთან, ჩვენ არ გვყავს დამოუკიდებელი სტრუქტურული დანაყოფი, რომელიც მოკვლევის ღონისძიებებს სრულყოფილად ჩაატარებს. თუმცა, ახლა მთავრდება სტრუქტურული რეორგანიზაცია და ვქმნით ცალკე ძებნის ჯგუფს, რომელიც გარკვეული მიდრეკილებების მქონე პატიმრებზე ინფორმაციას წინასწარ შეაგროვებს, რათა, თუ რამე მოხდა, ოპერატიული ძალები მაშინვე ჩაერთოს საქმეში და ინფორმაციის მოძიებაზე დრო აღარ დაიხარჯოს.

**- ამ ბოლო თვენახევრის განმავლობაში არაერთი მასშტაბური გაქცევა მოხდა. მოკლედ გკითხავთ – რა ხდება?**

- მიზეზი ბევრია და არაერთგვაროვანი. პირველ რიგში, შეიძლება ვილაპარაკოთ ზოგადად არსებულ პრობლემებზე, რომლებიც სისტემაშია და რომლებზეც არაერთხელ მისაუბრია. პირველ რიგში, ეს არის ფინანსური პრობლემა, რომლიდანაც შემდეგ ყველაფერი გამომდინარეობს. ამას მოჰყვება თანამშრომელთა პროფესიული მომზადება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არ არსებობა და ასე შემდეგ. მაგრამ ამის გარდა, არის სხვა მომენტებიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი. ვფიქრობ, რომ არ არის გაკეთებული ანალიზი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიცვალა სიტუაცია ზოგადად ქვეყანაში და რა გამოიწვია ამან. მე ვგულისხმობ სასჯელაღსრულების დაწესებულების მენეჯმენტს. ის მეთოდები, რომლითაც ციხეები და საპყრობილეები იმართებოდა, მოძველდა. ვფიქრობ, ეს გუშინწინდელმა ინციდენტმაც ცხადყო და მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ სასჯელაღსრულების სისტემის მართვა ძველი მეთოდებით გაგრძელდეს. სიტუაციის მართვა ხელში უნდა აიღოს ხელმძღვანელობამ და "ავტორიტეტების" მიერ მართული სისტემა უნდა დაინგრეს. კრიმინალური ლიდერები დღემდე გარკვეული ფუნქციით არიან აღჭურვილნი, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ფუნქციას ველარც ისინი ართმევენ თავს და ველარც დაწესებულების ხელმძღვანელობა.



გიგლა აგულაშვილი: "ჩემს ფუნქციებს კრიმინალებს ვერ გადავცემ."

**- "შავი სამყაროს" ავტორიტეტების მიერ ციხის მართვას თავისი ისტორია და ტრადიციები გააჩნია. ეს კარგად ჩამოყალიბებული ინსტიტუტია. ძველი ხელმძღვანელობა, როგორც წესი, შემგუებლურად იყო ამის მიმართ განწყობილი და უკვე კარგა ხანია, ასე გრძელდება. თქვენ როგორ მოახერხებთ ამის შეცვლას"? ფაქტია, "შავ სამყაროსთან" სერიოზული დაპირისპირება მოგიწევთ.**

- რა თქმა უნდა, ამ პროცესს წინააღმდეგობა აუცილებლად მოჰყვება. ლიდერი ყველა სიტუაციაშია და ორ ადამიანს შორის ურთიერთობის დროსაც იკვეთება; ისიც ცნობილია, რომ ეს ციხის "ატრიბუტია", მაგრამ ასეთი დოზით და ასე გამწვავებული ფორმით არც ერთ ქვეყანაში არ არის. არ შეიძლება სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც დამნაშავეთა სადამსჯელო ფუნქცია აქვს, კრიმინალების მიერ იმართებოდეს, მათთან ურთიერთობაში მე ვერ შევალ, ჩემს ფუნქციებს მათ ვერ გადავცემ. ვაცხადებ, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რეჟიმის გამკაცრება ჩვეულებრივი პატიმრის უფლებების შელახვის ხარჯზე არ მოხდება. ჩვენ ვამბობთ, რომ დავიცავთ მათ უფლებებს ნებისმიერ ადამიანის უფლებათა დამცველზე უკეთ, ოღონდ სარეჟიმო წესების მკაცრად დაცვას მათგანაც მოვითხოვთ. სხვანაირად არაფერი გამოვა, კომპრომისებზე ვერ და არ წავალ. თვალს ვერაფერზე დავხუჭავ. მართვის ძველმა ფორმებმა პენიტენციარული სისტემა დაანგრია. შესაძლოა, მე ახლა "თეთრი ყვავის" როლში გამოვდივარ, მაგრამ სისტემაში მართვის პოლიტიკა რადიკალურად უნდა შეიცვალოს: არ გამოვა და წავალ.

**- იყო საუბრები იმის შესახებ, რომ სწორედ თქვენს ახალ პოლიტიკას – კრიმინალიტეტის წინააღმდეგ გამოსვლას - დაუპირისპირდნენ "შავი სამყაროს" წარმომადგენლები და საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად დეპარტამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ აქციები მოაწყვეს. ამასთან აკავშირებენ გახშირებულ გაქცევებსაც, ამის შესახებ რას იტყვით?**

- იყო საუბრები სხვა ვერსიების შესახებაც. მე არავის წინააღმდეგ არ მივდივარ, არავის ვუპირისპირდები; უბრალოდ, რაც მევალება, იმას ვაკეთებ - ჩემს საქმეს. მე არ ვებრძვი კონკრეტულ ადამიანებს და თუ ვინმე დამიპირისპირდება, ამისთვისაც მზად ვარ. მე მათთვის მითქვამს: სადაც თქვენი სიმართლეა, გვერდით დაგიდგებით, მაგრამ ჩემს საქმეს აუცილებლად გავაკეთებ და თქვენგანაც მოვითხოვ-მეთქი. ზოგიერთ მათგანს შევხვდი კიდეც და ვისთანაც ამის თაობაზე საუბარი მქონდა, ისინი წინააღმდეგნი არ წასულან. ამიტომაც, დაპირისპირებაზე საუბარი, ალბათ, ცოტა გადაჭარბებულია.

**- არსებობს კიდევ ერთი ვერსია იმის შესახებ, რომ ციხის გაქცევებს გარკვეული პოლიტიკური ძალები, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი აწყობს...**

- ამ ვერსიას გარკვეული საფუძველი გააჩნია. თუმცა, არა ასეთი მასშტაბით, საუბარია, პიროვნულ დაპირისპირებებზე, სავარძლის ხელში ჩაგდების სურვილზე და ა.შ. იცით, როცა ფინანსდება გარკვეული სფეროს რაღაც უმნიშვნელო პროგრამა და ამ დროს არც ერთი თეთრით არ ფინანსდება ისეთი სტრატეგიული ობიექტი, როგორიცაა პენიტენციარული სისტემა, ლოგიკურად ჩნდება ეჭვები, რომ სახეზეა გარკვეული დაპირისპირება.

**- სახელმწიფო მინისტრსა და იუსტიციის მინისტრს შორის არსებული დაპირისპირება ხომ არ გაქვთ მხედველობაში?**

- ამის შესახებ მე ვერაფერს გეტყვით. ამ თემაზე ინფორმაციებს ვფლობ მხოლოდ პრესიდან, კონკრეტულად არაფერი ვიცი. ამიტომაც, ამ თემაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ.

**- თქვენ ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ გაქვთ ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი ძალის მიერაა ინსპირირებული ციხიდან გაქცევები.**

- როცა ეს განცხადება გავაკეთე, ვეყრდნობოდი ინფორმაციებს, კავშირებს გაქცეულებსა და ზოგიერთ პირს შორის. ამ საკითხზე საკმაოდ სერიოზულად ვმუშაობთ და დასკვნები აუცილებლად გაკეთდება.

**- პენიტენციარულ სისტემაში არსებული ქაოსი ლოგიკურად ქვეყნის არევასთანაა კავშირში, რა კეთდება იმისთვის, რომ სისტემა დაცული იყოს?**

- პირველ რიგში, საზოგადოებამ უნდა დაგვიჭიროს მხარი და ხელისუფლებამ რადიკალური გადაწყვეტილება მიიღოს. სახელმწიფომ პოლიტიკური ნება უნდა გამოხატოს და ეს სტრატეგიული ობიექტი დაიცვას, არადა, შესაძლოა, უარესი მოხდეს.

**- ციხე ყოველთვის იყო პოლიტიკური ინტერესის ობიექტი. არასამთავრობო ორგანიზაციები უკვე საუბრობენ იმის შესახებ, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს, როგორც წინა არჩევნების პერიოდში, ციხეში ხმის მიცემის პროცესს ამჟამადაც „ქურდები" გააკონტროლებენ და ხუთი ათასამდე პატიმრის ხმას "ქურდებთან" დაახლოებული პოლიტიკური პარტიები ჩაითვლიან.**

- შეიძლება ასეთ მცდელობას ადგილი ჰქონდეს, მაგრამ ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის თავისუფალი არჩევანის უფლება უმთავრესია, ამიტომაც მაქსიმალურად ვეცდები, პატიმრებმა თავისუფალი არჩევანი გააკეთონ.

# პრობლემა, რომელიც ყველამ მიივიწყა

## ამომრჩეველთა სიებს კვლავ გაყალბება ემუქრება

პირველი გვერდიდან

გამომდინარე მერყეობს. არასწორია მოსაზრება, რომ ყველა წინა არჩევნების დროს ამომრჩეველთა სიებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ დროს მმართველმა პარტიამ უნდა აიღოს. არჩევნებს აყალბებდა ყველა, ვისაც ამის მინიმალური შესაძლებლობა ჰქონდა. პოლიტიკური პასუხიმგებლობა კი იმ სახელმწიფო მანქანას და რეალურად მმართველ პოლიტიკურ კასტას ეკისრება, რომელიც დღემდე მართავს საქართველოს და რომელმაც ვერა და ვერ მოახერხა საკუთარ ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქეების ელემენტარული აღრიცხვიანობის მოწესრიგება. დღემდე უცნობია, რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში და რამდენია მის ფარგლებს ლეგალურად თუ არალეგალურად გასული, აბსოლუტურად გაურკვეველია, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობაც.

ბუნებრივია, ნებისმიერი არჩევნების დროს ამ მდგომარეობით სწორედ ის პოლიტიკური ორგანიზაცია იხეირებს, რომელიც სახელისუფლებო მანქანის საყრდენს წარმოადგენს. ამ "ტორტის" მოზრდილი ნაწილი იმ პარტიებსაც ხვდება წილად, რომელიც პრეზიდენტისთვის მისაღებ ძალასთან საერთო ენას გამონახავენ.

ასე იყო ნებისმიერი წინა არჩევნების დროს. გაყალბებულ სიებზე მხოლოდ ის პარტიები ყვიროდნენ, რომლებიც გარიგებებს მიღმა აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მაგალითისთვის თუნდაც "აღორძინების კავშირიც" კმარა. 1999 წლის არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო "აღორძინებას" გაყალბებულ სიებზე არაერთი მკვეთრი განცხადება გაუკეთებია, თუმცა ზუსტად რვა თვის თავზე, 2000 წლის 9 აპრილს იმავე საარჩევნო სიებით გამართული საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობაზე, როგორც იტყვიან, კრინტიც არ დაუძრავს. (მაშინ აბაშიძემ მხარი შევარდნაძეს დაუჭირა). რა იქნება 2 ნოებერს? ეს შეკითხვა საკმაოდ აქტუალურია - ყველასათვის ცხადია, რომ იგი ერთობ მნიშვნელოვანი თარიღია ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში, რადგან პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების პროცესის ლოგიკური დასასრულის ფუნქციას იტვირთებს.

სერიოზულ პრობლემად რჩება ამომრჩეველთა ნიჰილიზმი. მის უმრავლესობას არ სურს არჩევნებზე მისვლა, რადგან სჯერა, რომ იგი გაყალბდება. დავუმატოთ ამას ხელისუფლების უაღრესად დაბალი რეიტინგი და დასკვნა თავისით მოვა – არჩევნების გაყალბების გარეშე შევარდნაძის გუნდს პარლამენტში მოხვედრა აშკარად გაუჭირდება.

ასე რომ, რომ თუკი საზოგადოება კვლავ ინდიფრენტულად მოეკიდება საკუთარი ქვეყნის მომავალს, 2 ნოემბერის არჩევნები კვლავ ტოტალური გაყალბებებით და ამომრჩეველთა გაბერილი სიების თანხლებით წარიმართება. სიებში მითითებული იქნება არარსებული ქუჩები და ასევე არარსებული მოქალაქეები, ხოლო საარჩევნო ბიულეტენების გარეშე დარჩებიან იმ პარტიათა აქტივისტები, რომლებიც მმართველი კასტისთვის დღეს უკვე მიუღებელნი არიან.

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი გვაიმედებს, რომ ეს არ მოხდება და გვარწმუნებს, რომ ე.წ. მარიამ ცაცანაშვილის კომისიამ და შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რომელიც სწორედ ამომრჩეველთა რეგისტრაციაზე მუშაობდა, ყველაფერი იღონეს, რათა ვითარება გამოსწორებულიყო.

შსს კი პოლიტიკურ პასუხიმგებლობის საკუთარ თავზე აღებას არ აპირებს. მინისტრის მოადგილე დავით თოდუა აცხადებს, რომ სამინისტროს მხოლოდ ამომრჩევლის უფლების მქონე პირთა მონაცემების დაზუსტება ევალებოდა და მან ეს ძალე მაღალ დონეზე შეასრულა. **"მონაცემები გროვდებოდა ე.წ. შერეული პრინციპით – ე.წ. "საპასპორტო მაგიდებში" არსებული და კარდაკარ, ანუ მიჯრით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე. ამით შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასზე დაკისრებული მისია შეასრულა და უწყებას არანაირი კავშირი არ ექნება თავად სიების შედგენასთან. ხუთშაბათს მონაცემებს გადავუგზავნით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და მთავარ სამუშაოს სწორედ ისინი შეასრულებენ,"** – გვითხრა დავით თოდუამ.

თავად ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ ელოდებიან მონაცემებს იუსტიციის, ლტოლვილთა და განსახლების, საგარეო საქმეთა სამინისტროებიდან და მხოლოდ ამის შემდგომ იქნება შესაძლებელი ამომრჩეველთა რიცხვის განსაზღვრა. **"რაც შეეხება მონიტორინგს, ეს თქვენ – არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიამ უნდა განახორციელოთ,"** – განუცხადა "24 საათს" კომისიის თავმჯდომარემ გია ზესაშვილმა.

არასამთავრობო სექტორი კი ეჭვობს, რომ სიები კვლავ გაყალბებული იქნება. სამართლიანი არჩევნების წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბარში განაცხადეს, რომ მათ უკვე დაიწყეს წინასწარი მონაცემების აუდიტი. ნუგზარ კუპრეიშვილი ამბობს, რომ შსს-დან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ თბილისში მილიონ 200 000 ამომრჩეველია. ამას სხვა მონაცემებიც დაემატება. **"არა მგონია, თბილისში ამდენი ამომრჩეველი იყოს,"** – აცხადებს იგი.

პარტიებმა კი, როგორც ვთქვით, ეს პრობლემა მიივიწყეს და მხოლოდ ცესკო-ს დაკომპლექტების პრინციპის განსაზღვრით არიან დაკავებულები. სიებით კი მოგვიანებით დაინტერესდებიან, მაგრამ შესაძლოა, მაშინ უკვე ძალზე გვიან იყოს.

# პრეზიდენტს არ სურს, ოპოზიციასთან მისი შეხვედრა გამჭვირვალე იყოს

პირველი გვერდიდან

### თემაზე "ბოდიში და ცესკო"...

შევარდნაძის აზრით, დასაწყისისთვის უპრიანი იქნება, თავად პარლამენტმა მოახერხოს საარჩევნო კოდექსის კომპრომისული ვარიანტის მიღება. პრეზიდენტი ოპოზიციასაც კბენს და მიგვანიშნებს, რომ პარლამენტის დარად, მასაც უჭირს შეთანხმების მიღწევა. **"იმუშავოს პარლამენტმა და ჯერ თავად მიაღწიოს კომპრომისს... ამის აუცილებლობა არის ოპოზიციურ ჯგუფებს შორისაც, ვინაიდან მათაც უჭირთ შეთანხმება საარჩევნო ადმინისტრაციებში წარმომადგენლობის პრინციპთა შესახებ."**

ერთი სიტყვით, პრეზიდენტი მშვიდად, შორიდან უყურებს, რა ბედოვლათობას გამოიჩენენ პარლამენტი და ოპოზიცია და **"ბოლო ეტაპზე ჩაერთვება პროცესში".** თავისთავად, "ბოლო ეტაპზე" ჩართვა გულისხმობს იმას, რომ პრეზიდენტის პასუხისმგებლობა მინიმუმამდე მცირდება. პასუხისმგებლობის თავიდან აცილების სურვილს შევარდნაძე არც მალავს. ამის შესახებ იგი ცალკე, ხაზგასმით შენიშნავს: **"საარჩევნო კოდექსის მიღება როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის საერთო პასუხისმგებლობაა".**

პრეზიდენტი, რომელიც საარჩევნო კოდექსის მისაღებად (კოდექსისა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ბედი) პარლამენტთან და ოპოზიციასთან ერთად იყოფს პასუხისმგებლობას (ისიც "ბოლო ეტაპზე"), ამ დღეებში აპირებს მოსახლეობის წინაშე **"საგანგებო მოწოდებით"** წარსდგეს. მოწოდების ტექსტი ასეთია: **"ხელისუფლება და ის ბლოკი, რომელსაც მე ვუდგავარ სათავეში, არის ინიციატორი საქართველოში სამართლიანი, ობიექტური და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებისა. ჩვენ ვერ დავეთანხმებით საარჩევნო კოდექსის ისეთ ვარიანტს, რომელიც არჩევნების დღეებში, ბოდიში და, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სავაჭრო დახლს დაამსგავსებს."**

### პარლამენტს "საკანონმდებლო დავალიანება" ერიცხება

გუშინდელ რადიოინტერვიუში ბატონმა პრეზიდენტმა ბრძანა, პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევა, პარლამენტის თავმჯდომარესთან და ფრაქციათა ლიდერებთან მოთათბირების შემდეგ, აუცილებელი არის არა მხოლოდ საარჩევნო კოდექსში ცვლილებათა შესატანად, არამედ "საკანონმდებლო დავალიანებათა აღმოსაფხვრელად"-ო. შევარდნაძე საჭიროდ თვლის, პარლამენტმა მიიღოს მრავალი ისეთი კანონპროექტი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებშია მითითებული: **"ამას უდიდესი მნიშვნელობა ექნება საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობის თვალსაზრისით."** გუშინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სავალუტო ფონდის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერის გარეშე ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება გაძნელდებოდა. პრეზიდენტმა შემთხვევით ისარგებლა და პერსონალური მადლობა გამოუცხადა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს საქართველოში ტევფიკ იაპრაკს. პრეზიდენტმა შევარდნაძემ გვაუწყა, რომ სულ ახლახან მსოფლიო ბანკმა სოციალური ინვესტიციების მეორე პროექტი დაამტკიცა: **"მომდევნო სამი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია საქართველოსთვის 91 ათასი დოლარის გამოყოფა".**

### საგანგაშო ვითარება პენიტენციარულ სისტემაში "მავანის" ბრალია

პენიტენციარულ სისტემაში შექმნილ ვითარებას პრეზიდენტი "საგანგაშოს" უწოდებს და ამის გამომწვევ მიზეზად რეფორმების ნაჩქარევად ჩატარებას ასახელებს. **"პენიტენციარული დაწესებულებების შს სამინისტროსთვის ჩამორთმევა და იუსტიციის სამინისტროსთვის გადაცემა ნაჩქარევი ნაბიჯი იყო, რამაც სისტემა საგანგაშო მდგომარეობამდე მიიყვანა... სამწუხაროდ, მავანთა დაჟინებული მოთხოვნით, იძულებული გავხდით, აღნიშნული სისტემა მოსამზადებელი ეტაპისა და შესაბამისი რესურსების მოზიდვის გარეშე გადაგვეცა იუსტიციის სამინისტროსთვის, რომელსაც ამ სისტემის მართვის გამოცდილება არ ჰქონდა."** შევარდნაძის აზრით, პენიტენციარული სტრუქტურების ისევ შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის დაბრუნება უკვე გვიანია.

### ედუარდ შევარდნაძე: მე თავი დამანებონ...

შევარდნაძე საპრეზიდენტო უფლებების შეზღუდვის კატეგორიული წინააღმდეგია. ყოველ შემთხვევაში, ბატონი ედუარდი აცხადებს, რომ მისი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში ეს საკონსტიტუციო ცვლილება ვერ განხორციელდება. თუ მაინც და მაინც პარლამენტი თავს გამოიდებს და ამგვარი ინიციატივით გამოვა, პრეზიდენტი ვეტოს უფლებას გამოიყენებს. შევარდნაძე ფიქრობს, რომ ჩვენს ქვეყანას, ზოგადადაც (როცა ის პრეზიდენტი აღარ იქნება), ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტი სჭირდება. ჟურნალისტის დაჟინებულ შეკითხვაზე: "ამბობენ, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილება თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში უნდა დადგეს დღის წესრიგში"... შევარდნაძის პასუხი მისთვის ჩვეული "დიპლომატიური სიმშვიდის" ფარგლებს გასცდა: **"მე თავი დამანებონ, ყველამ თავის საქმეს მიხედოს"...**

## მოკლედ

### კომანდოსმა სამხედრო ნაწილში თავი მოიკლა

ვაზიანის სამხედრო ბაზის დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ შენობაში „კომანდოს" ბატალიონის კაპრალმა, 25 წლის პაატა გოგრიჭიანმა თავი ჩამოიხრჩო.

ქვემო ქართლის სამხედრო პროკურორის მამუკა ცაავას მონაცემებით, თვითმკვლელობის მიზეზი ოჯახური პრობლემები იყო, რაც გამოძიებას ჯარისკაცის ნათესავებმაც დაუდასტურეს.

ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურაში მომხდარ ფაქტზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. **"შეტყობინებისთანავე გავედით შემთხვევის ადგილზე და ჩავატარეთ პროცესუალური სამუშაოები. თავიდანვე ფაქტი იყო, რომ ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას, მაგრამ საქმე უნდა აღძრულიყო და აღიძრა შესაბამისი მუხლით,"** – განაცხადა მამუკა ცაავამ. პროკურორის თქმით, გამოძიება სამხედრო ნაწილში არსებულ ვითარებასა და გოგრიჭიანის თვითმკვლელობას შორის კავშირს, ჯერჯერობით, გამორიცხავს.

*24 საათი*

### ბანკის მმართველმა კლიენტები და ბანკი დააზარალა

წელს, მაისში, საფოსტო ბანკის კრწანისის ფილიალის მმართველმა თემურ ნავერიანმა 112 ათასი ლარი მიითვისა და უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. თუმცა, თავის დროზე ბანკს ეს ამბავი არ გაუხმაურებია და მომხდარის შესახებ პოლიციამ რამდენიმე დღის წინ შეიტყო. როგორც აღმოჩნდა, ფილიალის ხელმძღვანელი მოქალაქეების მიერ შემოტანილ ფულს, რომელიც სხვა ქვეყნებში უნდა გადარიცხულიყო, ითვისებდა, ანუ თანხას არც შემოსავალში აფიქსირებდა და არც რიცხავდა, კლიენტებს კი ყალბ ქვითრებს აძლევდა. ცხადია, იმის გამო, რომ თანხა ადრესატამდე არ აღწევდა, კლიენტები ნავერიანს აწუხებდნენ, ის კი ამბობდა, თითქოს, ბანკის ანგარიშს საგადასახადო ინსპექციის მიერ ყადაღა ჰქონდა დადებული და მომჩივან მოქალაქეებს ანგარიშის გასწორებას ჰპირდებოდა. საბოლოოდ კი, ორი მოქალაქის კუთვნილი 40 ათასი დოლარის გარდა, ფილიალში არსებული სხვა თანხებიც მიითვისა და 112 ათასი ლარით მიიმალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსი მალხაზ ლიპარტია სამართალდამცველთათვის ბანკიდან დანაკარგის შესახებ ინფორმაციის დაგვიანებას იმით ხსნის, რომ ბანკის ხელმძღვანელობას უღირსი თანამშრომლის დაბრუნების იმედი ჰქონდა. მისივე თქმით, მოკვლევის შედეგად არ გამოკვეთილა ნავერიანის დანაშაულებრივი კავშირები სხვა თანამშრომლებთან. რაც შეეხება თემურ ნავერიანს, საქმე მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის კოდექსის 182- მუხლით აღიძვრება, რაც სხვისი ქონების მითვისებასა და გაფლანგვას გულისხმობს და ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით სამ წლამდე, ან 4 წლამდე პატიმრობით.

რაც შეეხებათ ბანკის მოტყუებულ კლიენტებს, მალხაზ ლიპარტიას თქმით, მათ საკუთარი თანხის ამოღება სასამართლოში სამოქალაქო სარჩელის შეტანის გზით მოუწევთ. **"ვფიქრობ, რომ ეს ფული ბანკმა უნდა აანაზღაუროს, რადგანაც ფილიალის მმართველი სწორედ მათი დანიშნულია"**, - ამბობს ლიპარტია.

### პოლიციამ ფალსიფიცირებულ "ვალოკორდინს" მიაგნო

ორიოდ დღის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს კორუფციისა და ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ორ აფთიაქში – "თამარსა" და "თეკაში" - ფალსიფიცირებული მედიკამენტი - "ვალოკორდინი" აღმოაჩინეს. ფართო მოხმარების ეს მედიკამენტი დაახლოებით ორი ლარი ღირს და დიდი რაოდენობითაც იყიდება. როგორც გაირკვა, ეს აფთიაქები ფალსიფიცირებულ პრეპარატს კარგა ხანია ყიდიან, მიმწოდებლებად კი კერძო პირებს ასახელებენ. ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევით, ისინი წამალს გასაყიდად ყოველგვარი ლიცენზიის გარეშე იღებენ. შესაბამისად, ამ ორ ობიექტს, სააფთიაქო საქმიანობის ლიცენზია ჩამოერთმევათ.

როგორც შს სამინისტროს ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების უფროსმა დავით მამალაძემ გვითხრა, მთლიანობაში ამოღებულია 144 ცალი, 20 მგ-იან ფლაკონებში მოთავსებული ფალსიფიცირებული "ვალოკორდინი".

მისი თქმით, **"ამოღებულ მედიკამენტს უკვე ჩაუტარდა ქიმიური ექსპერტიზა წამლისა და ფარმაციის ლაბორატორიაში. შედეგად დამტკიცდა, რომ "ვალოკორდინი" ნამდვილად ფალსიფიცირებულია. არადა, გარეგნულად განსხვავება თითქმის შეუმჩნეველია - ეს პრეპარატი თავისი სავაჭრო ნიშნით თითქმის იდენტური იყო ნამდვილი "ვალოკორდინისა". ცხადია, დავუკავშირდით ამ წამლის მწარმოებელ კომპანიას "კრეველ მეუზეუბახს", რომლისგანაც პასუხად მივიღეთ, რომ ფირმას აღნიშნული სერიით "ვალოკორდინი" არ უწარმოებია.**

**საბედნიეროდ, ამ შემთხვევაში ფალსიფიცირებულ "ვალოკორდინს" მომხმარებელზე მომწამვლელად არ უმოქმედია, ყოველ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია არ გვაქვს".**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

მონიტორინგი

# ექვსი თვის ბიუჯეტი 108 მილიონი ლარით გაირღვა

**კატასტროფული მდგომარეობაა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში. 30 ივნისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები შეადგენს ექვსი თვის გეგმის მხოლოდ პროცენტს. გარღვევა 108 მილიონ 360 ათასი ლარია.**

**დეფიციტის დაფინანსების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 72 პროცენტით, გარღვევა 35 მილიონ 130 ათასი ლარია. ამასთან, 5 მილიონი ლარი ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხია და თვის ბოლომდე უნდა დაიფაროს.**

წლიური გეგმა, კი შესრულებულია 37 პროცენტით. სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და დეფიციტის დაფინანსებაში გარღვევა 143 მილიონ 490 ათასი ლარია, რომლის შესავსებად მთავრობას მხოლოდ ერთი სამუშაო დღე დარჩა.

**წარმოუდგენელია მთავრობამ ერთ დღეში შეძლოს 143,49 მილიონი ლარის მობილიზება, მაშინ როცა 5 თვისა და 29 დღის განმავლობაში მხოლოდ 510,65 მილიონის ამოღება შეძლო.**

უმძიმესი მდგომარეობაა საბაჟო დეპარტამენტის მაჩვენებლებში. ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 74 პროცენტით. გარღვევა 47 მილიონ 70 ათასი ლარია. პრივატიზაციიდან შემოსავალის ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 47 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმა 11 პროცენტით. აღარაფერს ვაბობთ ცენტრალური ბიუჯეტის გრანტების მაჩვენებლებზე, რომლის ექვსი თვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 24 პროცენტით, ხოლო წლიური მაჩვენებელი 10 პროცენტით.

**რა თქმა უნდა, ფინანსთა სამინისტრო ბოლო დღის, ანუ ექვსი თვის შესრულების საბოლოო მონაცემებს დაგვიანებით გამოაქვეყნებს და მანამდე შეეცდება საზოგადოების დარწმუნებას, რომ ყველაფერი წესრიგშია.**

**არსებული ინფორმაციის გაანალიზებით ნათელია, რომ სახეზეა საბიუჯეტო კრიზისი და არ ჩანს, რომ პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი და პოლიტიკური ძალები შექმნილ ვითარებაზე ადეკვატურად რეაგირებდნენ.**

**სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება**
ოპერატიული ინფორმაცია 30 ივნისისათვის

მლნ. ლარებში

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 1127.4 | 529.8 | 421.44 | 37% | 80% |
| [illegible] | 853.7 | 385.89 | 301.2 | 36% | 78% |
| [illegible] | 659.9 | 310.64 | 261.15 | 40% | 84% |
| [illegible] | 78.4 | 36.36 | 30.97 | 40% | 86% |
| [illegible] | 95.4 | 38.3 | 9.09 | 10% | 24% |
| [illegible] | 244.2 | 116.81 | 102.39 | 42% | 88% |
| [illegible] | 49.5 | 24.85 | 18.07 | 37% | 73% |
| [illegible] | 239.8 | 124.34 | 89.21 | 37% | 72% |
| [illegible] | 8.5 | 8.5 | 7.53 | 89% | 89% |
| [illegible] | 22 | 19.18 | 13.77 | 63% | 72% |
| [illegible] | 40 | 29.54 | 18.51 | 46% | 63% |
| [illegible] | | | 5 | | |
| [illegible] | 41.5 | 9.51 | 4.5 | 11% | 47% |
| [illegible] | 127.8 | 57.61 | 39.4 | 31% | 69% |

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | % [illegible] | % [illegible] |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 511.7 | 257.48 | 232.9 | 46% | 90% |
| [illegible] | 388.1 | 183.86 | 136.79 | 35% | 74% |

# აქციები ზაფხულშიც პოპულარულია

**გასულ კვირას გალტ ენდ თაგგართ ბლუ ჩიპ ინდექსი (GTBCI) ლარის გამოსახულებაში 5.12 პროცენტით გაიზარდა 96.4 ათასი ლარი მოცულობის ვაჭრობის შედეგად, რითაც ცოტა ხნის წინანდელი ვარდნა აინაზღაურა.** ზაფხულის დასვენების სეზონის დადგომის მიუხედავად, ბაზარმა შედარებით ფართო სპექტრი შეინარჩუნა, რადგან გასულ კვირას საფონდო ბაზარზე გარიგებები რვა სხვადასხვა აქციაზე დაიდო. ამჯერად ბაზარზე Blue Chip აქციები დომინირებდნენ, რომელთა ბრუნვამ საფონდო ბირჟის კვირის სავაჭრო მოცულობის 66 პროცენტი შეადგინა.

ერთკვირიანი შესვენების შემდეგ საქართველოს ბანკის (GEB) აქცია კვირის ორივე სავაჭრო სესიაზე ჯამური 44.9 ათასი ლარის მოცულობით გაიყიდა. სამშაბათის ვაჭრობაზე ამ აქციის ფასი 1.37 ლარამდე გაიზარდა, თუმცა კვირის ბოლოსათვის მისი ფასი 1.3 ლარამდე შემცირდა და, შედეგად, წინა კვირასთან შედარებით GEB-ის ფასი უცვლელი დარჩა. დღევანდელი საბაზრო შეფასების მიუხედავად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ აქციის ფასი, ბანკის მყარი ფინანსური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, დაახლოებით 2.5 ლარი უნდა იყოს.

საბანკო სექტორის წარმომადგენელი მეორე Blue Chip-ის გაერთიანებული ქართული ბანკის (UGB) აქციის ფასი წინა კვირასთან შედარებით 16.1 პროცენტით გაიზარდა. შევნიშნავთ, რომ გასულ კვირას GTBC ინდექსის ზრდის ერთადერთი მიზეზი UBG იყო. ჩვენ კვლავ მიგვაჩნია, რომ ეს აქცია ძვირად შეფასებული რჩება ბანკის ფინანსური შედეგების გათვალისწინებით.

ქართული ლუდის მწარმოებელი წამყვანი კომპანიის - "ყაზბეგის" (KAZB) აქციამ ლიკვიდურობა შეინარჩუნა და კვირის ორივე სავაჭრო სესიაზე ჯამური 13 ათასი ლარის მოცულობით გაიყიდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით ყაზბეგის აქციის ლიკვიდურობის ზრდას, თუმცა უფრო მეტს მოველით ამ კომპანიისაგან; მით უმეტეს, რომ 2002 წელს ყაზბეგის წმინდა გაყიდვები მნიშვნელოვნად გაიზარდა. **ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ "ყაზბეგს" და ასევე ლუდის სხვა მწარმოებელ კომპანიებს, საქართველოს ლუდის ბაზრის ზრდის პოტენციალიდან გამომდინარე, საშუალო ვადიანი პერიოდისათვის ზრდის საუკეთესო პერსპექტივა გააჩნიათ.** დღეისათვის საქართველოში ლუდის წლიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 13 ლიტრს არ აღემატება, რაც დსთ-ს ქვეყნებს შორის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და რაც ამ დარგის ზრდის საკმაოდ კარგ წინაპირობას წარმოადგენს.

**გასულ კვირას 140-დღიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წლიური 56.5 პროცენტით განისაზღვრა.** მთავრობამ სახაზინო ვალდებულებების ბაზარზე მიწოდება და ასევე ამ ფასიანი ქაღალდის ვადიანობა გაზარდა. აუქციონზე 5.6 მლნ ლარის მოცულობის 140-დღიანი ვალდებულებები იქნა გამოტანილი. ეს საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: 1) მთავრობას სახაზინოების რეფინანსირებისთვის მხოლოდ 4.5 მლნ ლარი ესაჭიროებოდა; 2) ბაზრის ნდობა და, შესაბამისად, სახაზინოებზე მოთხოვნა სავალუტო ფონდის პროგრამის შესაძლო შეწყვეტის და ლარის დევალვაციის გაზრდილი რისკის გამო საკმაოდ შემცირებული იყო.

ამ გარემოებებმა, ცხადია, აუქციონის შედეგებზე ასახვა ჰპოვა. აუქციონზე წარდგენილი 54 განაცხადის ჯამურმა ღირებულებამ 5.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 0.3 მლნ ლარით ნაკლები იყო დაგეგმილ ემისიაზე. აღსანიშნავია, რომ 2003 წელს ეს მეორე შემთხვევა იყო, როცა სახაზინო ვალდებულებებზე მიწოდება აღემატებოდა მოთხოვნას. შედეგად, აუქციონზე დაკმაყოფილებული განაცხადების განაკვეთები წლიური 45.0 პროცენტიდან 197 პროცენტამდე იცვლებოდა. თუმცა, საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 140-დღიან სახაზინო ვალდებულებებზე მხოლოდ 56.5 პროცენტამდე გაიზარდა, რაც წინა კვირას არსებულ 126-დღიანი ვალდებულებების განთავსების საშუალო განაკვეთს 333 საბაზისო პუნქტით აღემატებოდა.

ჩვენი აზრით, ინვესტორები, სავარაუდოდ, შეეცდებიან, თავი შეიკავონ სახაზინო ვალდებულებებში ინვესტირებისაგან მანამ, სანამ სავალუტო ფონდი საქართველოში პროგრამის გაგრძელების საკითხს არ გადაწყვეტს. ჩვენ ოპტიმისტურად არ ვუყურებთ ახლო მომავალში სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენას საქართველოში, ვინაიდან მთავრობას ფონდის რეკომენდაციების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით - ბიუჯეტთან და ენერგეტიკულ სექტორთან დაკავშირებით, შესრულებული არ აქვს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მთავრობამ სახაზინო ვალდებულებების მიწოდება არ უნდა გაზარდოს და ემისია რეფინანსირებისათვის საჭირო თანხის, ან უფრო ნაკლები სიდიდით განსაზღვროს.

**ლექსო ლიპარტელიანი**
*საინვესტიციო-საბანკო დეპარტამენტის თანათავმჯდომარე კაპიტალის ბაზრების დარგში*

**გალტ ენდ თაგგართის ბლუ ჩიპ ინდექსის (GTBCI) შემადგენელი კომპანიები**

| კომპანია | კოდი | ფასი (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | 0.70 | 56,803,520 | 0.3 |
| გაერთიანებული ქართული ბანკი | UGB | 0.72 | 15,120,000 | 35.1 |
| საქართველოს ბანკი | GEB | 1.30 | 13,000,000 | 37.15 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | 1.20 | 8,896,302 | 2.8 |
| ყაზბეგი | KAZB | 2.00 | 5,600,000 | 14.4 |
| უნივერსალი თბილისი | UTB | 1.00 | 1,966,030 | 4.2 |
| საქქალაქმშენპროექტი | SQMP | 6.50 | 1,615,580 | 5.7 |
| რუსთავცემენტი | RUCE | 0.50 | 790,480 | 0.5 |
| სულ | | | 103,791,912 | 100 |

# სავალუტო ფონდი მთავრობას 48 საათს აძლევს

პირველი გვერდიდან

სახელფასო და საპენსიო დავალიანებების დაფარვის შესახებ კანონპროექტის მომზადებას სთხოვს, სადაც კონკრეტული ვადები იქნება გაწერილი. აღნიშნული კანონპროექტიც პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს. შეგახსენებთ, რომ საპენსიო დავალიანება 116 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო სახელფასო - 80 მილიონ ლარს. გუშინვე სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელი პაოლო ნეუჰაუსი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა. საკმაოდ დაძაბული საუბრის შემდეგ, ნეუჰაუსმა ჟურნალისტებისათვის კომენტარი არ გააკეთა. პარლამენტის თავმჯდომარემ კი საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ ფონდის შეფასებები უკიდურესად უარყოფითია, რადგან ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია საგანგაშოა. ბურჯანაძის განცხადებით, სავალუტო ფონდი განსაკუთრებულ შეშფოთებას ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით გამოხატავს. პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით, სავალუტო ფონდმა მთავრობას 48-საათიანი ვადა მისცა, რათა მან პასუხი გასცეს კონკრეტულ შეკითხვებზე, თუ როგორ აპირებს რადიკალური ზომების გატარებას. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ოქტომბერში სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოზე საქართველოს საკითხს განიხილავენ და მთავრობის მუშაობას 2003 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით შეაფასებენ, რაც უკვე საეჭვოს ხდის, რომ სავალუტო ფონდმა ჩვენთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილება მიიღოს.


პაოლო ნეუჰაუსი მთავრობის გადაწყვეტილებას ოთხშაბათამდე დაელოდება.

გუშინ, მოგვიანებით, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ საგანგებო თათბირი გამართა. მან ნინო ბურჯანაძის განცხადებებს, სავალუტო ფონდთან დაკავშირებით, ზედმეტი აქტიურობა უწოდა. ჯორბენაძემ 48-საათიანი ულტიმატუმის შესახებ ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. მისი თქმით, მთავრობა აგრძელებს კონსულტაციებს და სავალუტო ფონდთან კონსენსუსი აუცილებლად მიიღწევა. თავის მხრივ, სახელმწიფო მინისტრმა ბურჯანაძეს მიუღებელი კანონპროექტები შეახსენა და განაცხადა, რომ საგანგებო სესია სასწრაფოდ უნდა იქნეს მოწვეული. როგორც ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, პარლამენტის მხრიდან პრობლემები არ შეიქმნება და თუ დღეისათვის მიუღებელი კანონპროექტები დაგროვდა, ეს იმიტომ, რომ მთავრობამ ისინი თავის დროზე არ შეიტანა პარლამენტში.

სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ საგანგებო თათბირს არ ესწრებოდა ფინანსთა მინისტრი მირიან გოგიაშვილი. ავთანდილ ჯორბენაძე აცხადებს, რომ ჯერჯერობით ვერ დაასახელებს კონკრეტულ თარიღს, როდის დატოვებს ფინანსთა მინისტრი თანამდებობას. მისი თქმით, მირიან გოგიაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი 5-6 ივლისს გადაწყდება, როცა ფინანსთა სამინისტრო ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შედეგებს ოფიციალურად წარმოადგენს. პრეტენდენტთა შორის ექსმინისტრი დავით იაკობიძეც სახელდება, რომელსაც სახელმწიფო მინისტრის მხარდაჭერა გარანტირებული ექნება.

# შეთანხმდით, რაზეც გინდათ, ოღონდ - შეთანხმდით!

პირველი გვერდიდან

„საარჩევნო კანონში ძირეული ცვლილებების შეტანა არჩევნებამდე დარჩენილ უკანასკნელ თვეებში არ უნდა მოხდეს. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს, უახლოეს დღეებშივე მიაღწიოს შეთანხმებას ან ამჟამინდელი ცესკო-ს შეცვლის, ან მისი შენარჩუნების თაობაზე," - ნათქვამია ელჩების სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციაში.

„კონსენსუსის მიღწევა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ სხვა გზა არ არსებობს. გამოსავალი როგორმე უნდა მოიძებნოს, თუ როგორ, ეს უკვე ქართველი პოლიტიკოსების გადასაწყვეტია," - შენიშნავს შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი.

უცხოელი დიპლომატები იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ 2003 წლის საპარლამენტო არჩევნები „საქართველოს მომავლისათვის აბსოლუტურად გადამწყვეტად" მიაჩნიათ და სწორედ მას უკავშირებენ ქვეყნის შიდა სტაბილურობას და საერთაშორისო ურთიერთობების მასშტაბებს, კერძო ინვესტიციებისა და საერთაშორისო დახმარების ჩათვლით.

„არჩევნების გაყალბება და არადემოკრატიულად ჩატარება აუცილებლად გამოიწვევს თქვენი ქვეყნისათვის საერთაშორისო დახმარების შემცირებას," - ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე საუბრობს გაერო-ს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელი საქართველოში ლანს კლარკი.

ქართველ პარლამენტარებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, ელჩები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მათ არანაირი პოლიტიკური ინტერესები არ ამოძრავებთ და მხოლოდ არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარებას ისახავენ მიზნად. ამასთან, უცხოელი დიპლომატები მზად არიან, თავის თავზე აიღონ საარჩევნო სიების კომპიუტერიზაციასთან დაკავშირებული საკითხების დაფინანსება, საარჩევნო ადმინისტრაციის წვრთნა და ტექნიკური დახმარება, აგრეთვე, თავად ნოემბრის არჩევნების საერთაშორისო მონიტორინგის კოორდინაცია.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, დიპლომატებთან შეხვედრა იყო ერთგვარი მესიჯი იმის შესახებ, რომ ელჩები სერიოზულად არიან შეშფოთებულები საქართველოში შექმნილი წინასაარჩევნო სიტუაციით. ბურჯანაძის აზრით, ეს პროცესი პარლამენტის კედლებში ვერ დამთავრდება და პრეზიდენტის ჩარევას საჭიროებს. „ედუარდ შევარდნაძე ნეიტრალური ფიგურა რომ იყოს, მაშინ თვისობრივად განსხვავებული მდგომარეობა იქნებოდა, მაგრამ, ვინაიდან ის სახელისუფლებო ბლოკის ხელმძღვანელია, მის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს", - აცხადებს პარლამენტის სპიკერი.

ასე რომ, ყველა საარჩევნო გზა მაინც კანცელარიისკენ მიდის.

# პრეზიდენტმა პარლამენტარები კიდევ ერთხელ გააოცა

გიორგი ასანიშვილი

პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადებამ იმის შესახებ, რომ ძველი საარჩევნო კოდექსით 3 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩატარება დიდი ტრაგედია არ იქნება, გარკვეულ პოლიტიკურ ძალებში გაღიზიანება და შეშფოთება გამოიწვია.

**„პრეზიდენტის გამონათქვამი თავად არის ტრაგედია. ამით შევარდნაძემ საბოლოოდ გამოამჟღავნა, რომ არჩევნების ჩატარება ძველი კოდექსითა და ცესკო-თი სურს, რაც მას არჩევნების ფალსიფიცირების ბერკეტებს შეუნარჩუნებს",** - აცხადებს ფრაქციის „მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" თავმჯდომარე კოტე კემულარია.

პრეზიდენტის განცხადების გამო უკმაყოფილებას ვერ მალავენ „ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენლები, დავით კოლუაშვილი და ფიქრია ჩიხრაძე. მათთვის გაუგებარია შევარდნაძის ასეთი მოსაზრება, როდესაც პრეზიდენტი, სულ ცოტა ხნის წინათ, თითქოს, მზად იყო ოპოზიციასთან დათმობებსა და კომპრომისებზე წასასვლელად. **„თუ დღეს მოქმედი კანონმდებლობით არჩევნების ჩატარებაში შევარდნაძე ტრაგედიას ვერ ხედავს, მაშინ მასთან შეხვედრას უკვე აზრი ეკარგება",** - მიიჩნევს ფიქრია ჩიხრაძე.

ფრაქცია „აღორძინების" ლიდერის ჯემალ გოგიტიძის რეაქცია შედარებით მშვიდი და მოზომილია. **„რას ლაპარაკობს პრეზიდენტი, ამის ანალიზს, უკვე დიდი ხანია, თავი დავანებე",** - აღნიშნავს ბათუმური ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი და იქვე დასძენს, რომ შევარდნაძესთან კონსულტაციების გამართვას არც ადრე აპირებდა და არც მომავალში გეგმავს.

**„რატომ გააკეთა შევარდნაძემ ასეთი განცხადება? ვერაფერს გეტყვით. ეგ, ალბათ, ვიტალი ხაზარაძეს უნდა ჰკითხოთ",** - ასეთ რჩევას იძლევა „მრეწველი" ზურაბ ტყემალაძე.

ვახტანგ ხმალაძე კი ოპოზიციური სპექტრიდან ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც „ხელისუფლებრივად" აზროვნებს: მისი აზრით, არჩევნების ჩაშლასა და არჩატარებას, ისევ ძველი კოდექსით ჩატარება სჯობს.

პრეზიდენტის გუშინდელმა განცხადებამ თავად პარლამენტის თავმჯდომარეც გააოცა. „ამ ხნის მანძილზე ჩვენ, ყველანი - პოზიციაც და ოპოზიციაც, ვაცხადებდით, ყოველ შემთხვევაში, დეკლარირების დონეზე მაინც, რომ არჩევნების ჩატარების ძველი წესი აუცილებლად უნდა შეიცვალოს. მე ძნელად წარმომიდგენია, რომ ახლანდელმა საარჩევნო კომისიამ ჩაატაროს არჩევნები. ძველი საარჩევნო კომისიისადმი ნდობა მოსახლეობის და, განსაკუთრებით, პოლიტიკური პარტიებისა, არის მინიმალური და, ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ ამან სიტუაცია გაამწვავოს", - აღნიშნავს პარლამენტის სპიკერი, რომელიც მაინც იტოვებს იმედს, რომ პარლამენტი მოახერხებს ისეთი საარჩევნო კოდექსის მიღებას, რომელიც როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის, მეტნაკლებად, მისაღები იქნება.

# „მხედრიონი" პოლიტიკიდან მიდის

პირველი გვერდიდან

"მხედრიონის" ცნობილი ლიდერი დოდო გუგეშაშვილი ონის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას აპირებს. როგორც მან გუშინდელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, "მხედრიონის" რამდენიმე წევრს შეთავაზება აქვს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიიდან. კონკრეტულად, ვინ ეპატიჟება მათ, გუშინ არ გაამხილეს, მაგრამ ჟურნალისტები დაარწმუნეს, რომ "მხედრიონელები" არასოდეს იმეგობრებენ **"ფაშისტურ, რევანშისტულ და პოპულისტურ ძალებთან, რომლებიც თავს ოპოზიციად ასაღებენ."** დოდო გუგეშაშვილი არ მიიჩნევს, რომ "მხედრიონი" იშლება. ამის დასამტკიცებლად მეომარ მხედრიონელ ვეტერანთა გამგეობის თავმჯდომარემ ვიქტორ შაფათავამ ჟურნალისტებს აუწყა, რომ სტატუსის მისაღებად "მხედრიონი" თავისი წევრების ახალ რეგისტრაციას იწყებს.


"მხედრიონი" თავისი წევრების ახალ რეგისტრაციას იწყებს.

გუშინდელი პრესკონფერენციის დიდი ნაწილი დოდო გუგეშაშვილმა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შეფს გიგლა აგულაშვილსა და მის მიერ "მხედრიონის" წინააღმდეგ აგორებულ ბინძურ კამპანიას" მიუძღვნა.

ერთი კვირის წინ ავჭალის კოლონიიდან გაქცეული პატიმრები – გელაშვილები, გუგეშაშვილის თქმით, სულაც არ არიან "მხედრიონელები'', როგორც ეს აგულაშვილმა გაავრცელა. **''აგულაშვილს ინფორმაციის გადამოწმებაც კი დაეზარა, თორემ ყველა საბუთში ნათლად წერია, რომ გაქცეული გელაშვილებიდან ერთი ახალციხის გვარდიის წევრია, მეორე ბორჯომის გვარდიის. მე ამ ბიჭების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ისინი მართლა ნაომარი ბიჭები არიან, მაგრამ არა "მხედრიონელები". აგულაშვილი კი წლების წინ "მხედრიონის" წინააღმდეგ დაწყებულ მარათონს აგრძელებს,"** – აცხადებს გუგეშაშვილი და იხსენებს, რომ წლების წინ ჯაბა იოსელიანის საქმეს სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი გიგლა აგულაშვილი იძიებდა, **"რომელიც დღეს, რატომღაც, პენიტენციარულ სისტემაში კაშკაშებს".**

მოკლედ

## მსხვილი საწარმოები საგზაო ფონდის დავალიანებებს არ იხდიან

კონტროლის პალატის ინფორმაციით, საავტომობილო გზების მიმდებარე ზოლში მდებარე კომუნიკაციების, სარეკლამო სტენდებისა და ფირნიშების განთავსებისთვის დაწესებული გადასახადების ამოღება კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მიუხედავად იმისა, რომ ექსპლუატაციაში შევიდა თბილისი-ლესელიძის საავტომობილო გზის ვაკისის მონაკვეთზე, 175 კმ სიგრძეზე განლაგებული ტრანსაზია-ევროპის მაგისტრალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი, შპს „ფოპტნეტი" თავს არიდებს საგზაო ფონდის შესახებ კანონით გათვალისწინებული გადასახადების გადახდას.

ზოგ მსხვილ საწარმოს საგზაო ფონდის მიმართ სოლიდური დავალიანებები აქვს.

კონტროლის პალატის ინფორმაციით, გადასახადის ამ სახეობაში დიდი რეზერვებია და გადასახადების ადმინისტრირების გამკაცრების შემთხვევაში, წელიწადში 17—18 მილიონამდე ლარის მობილიზებაა შესაძლებელი.

როგორც კონტროლის პალატაში აცხადებენ, მძიმეწონიან ავტოსატრანსპორტო საშუალებათა კონტროლისთვის მსოფლიო ბანკის კრედიტით შემოტანილი სტაციონარული სასწორის 5 კომპლექტის დამონტაჟების საკითხი გადაწყვეტილი არ არის, თუმცა საგადასახადო კოდექსში შეტანილია ცვლილება, რომლის თანახმადაც, ამ სახის გადასახადის აკრეფას სასაზღვრო ზოლში საბაჟო დეპარტამენტი ახორციელებს და, აქედან გამომდინარე, აღნიშნული სასწორები სასაზღვრო ზონაში უნდა დამონტაჟდეს.

ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე კი, სადაც გადასახადი საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტმა უნდა აკრიფოს, ასევე გადაუწყვეტელია ტექნიკური საშუალებების შესყიდვის, დისლოკაციისა და სხვა ორგანიზაციული საკითხები, რის გამოც საგზაო ფონდის შევსების ერთ-ერთი რეზერვი კვლავ გამოუყენებელია. **მედია-ნიუსი**

## არძინბას ხელისუფლება სამშვიდობოების სამუდამოდ დატოვებას ითხოვს

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა კმაყოფილია საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით - რუს მშვიდობისმყოფელებს კონფლიქტის ზონაში ყოფნის მანდატი უვადოდ გაუგრძელოს.

მისი თქმით, ამას დიდი ხანია, აფხაზური მხარე მოითხოვდა.

"საკითხი, სავარაუდოდ, მთლად ისე არ გადაწყდება, როგორც ჩვენ ვითხოვდით. ჩვენი სურვილი იყო, მანდატი რუს მშვიდობისმყოფელებს არა კონფლიქტის საბოლოო დარეგულირებამდე, არამედ საერთოდ, უვადოდ ანუ სამუდამოდ გაგრძელებოდათ. გარდა ამისა, ჩვენ არ გვსურს, რომ მანდატის შეწყვეტის საკითხი კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის მოთხოვნაზე იყოს დამოკიდებული," - განაცხადა სერგეი შამბამ. **მედია-ნიუსი**

## ახალი კონტიგენტი სამსახურს შეუდგა

დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ახალი კონტიგენტი, ოთხდღიანი გეგმიური როტაციის შემდეგ, გუშინ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის უსაფრთხოების სამხრეთ ზონაში - ზუგდიდის რაიონში, დაკისრებული მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

როგორც აფხაზეთში ქართული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობის უფროსმა ვიცე-პოლკოვნიკმა ვალერი ჯაფარიძემ განაცხადა, რუსი მშვიდობისმყოფელების პირადი შემადგენლობის როტაციას ქართველი დამკვირვებლები ესწრებოდნენ.

"სამშვიდობო ძალების ბატალიონის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა მისი დისლოკაციის ადგილას რჩება, ახალი ქვედანაყოფის საშტატო სტრუქტურაში ცვლილებები არ არის, რაოდენობრივად ყველაფერი უცვლელი დარჩა", - თქვა მან. **პრაიმ-ნიუსი**

## სერჟანტთა სკოლა

გუშინ გორში პირველი სასწავლო ცენტრის ბაზაზე სერჟანტთა მომზადების სკოლა გაიხსნა. სკოლის გახსნის საზეიმო ცერემონიალს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები და საქართველოში აკრედიტებული სამხედრო ატაშეები დაესწრნენ. სამხედრო სასწავლებელი, ჯერჯერობით, საკონტრაქტო სამსახურის სერჟანტებს მოამზადებს, მომავალი წლიდან კი შტაბის სერჟანტთა მომზადებაც იგეგმება. სწავლების პროცესი ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად, გერმანული პროგრამით წარიმართება და მას ის ქართველი ოფიცრები გაუძღვებიან, რომლებმაც სამხედრო განათლება გერმანიაში მიიღეს. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**რუსთავი.** დღეს გარდაბნის რაიონის სოფელ მარაბდაში მარაბდობის სახალხო დღესასწაული აღინიშნება. ამ ღონისძიებისთვის მარაბდის გარემონტებული საშუალო სკოლის გახსნა იგეგმება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის მერიის წინ, ცენტრალურ ბაღში გუშინ 300-მდე ადამიანი შეიკრიბა. აქციის მონაწილეები სოციალური პრობლემების მოგვარებას, ადგილობრივი ხელისუფლების გადადგომასა და არჩევითობას მოითხოვდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მეორე კვირაა „ჯო ენის სახელობის სამედიცინო ცენტრში“ გეგმური კარდიოქირურგიული ოპერაციები არ ტარდება. კლინიკას ორი დღის საოპერაციო მასალა აქვს დარჩენილი. მარაგის შევსებას უსახსრობა აფერხებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სპეციალისტები ნოემბრის ბოლომდე საქართველოში ჯილეხის ახალი შემთხვევების გამოვლენას არ გამორიცხავენ. ახალი შემთხვევების გამოვლენა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ჯილეხის ძველი კერებიდანაა მოსალოდნელი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** განათლების მინისტრის მოადგილე რუსუდან გორგილაძე დადებითად აფასებს წლეულს აპრობირებულ საგამოცდო ცენტრებში ჩატარებულ გამოცდებს. მისი თქმით, საგამოცდო ცენტრების რაოდენობა გაიზრდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გლდანი-ნაძალადევის რაიონში, მუხიანისა და გლდანის დასახლებებში წლეულს შემოდგომიდან, შესაძლოა, წყალმომარაგების პრობლემა გადაიჭრას. ამ რაიონებში მერია ახალი წყალსაცავების აშენებას გეგმავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახური თბილისის ავტოპარკის შევსებას რუსეთის ფირმების „ლიაზისა“ და „პაზის“ ტიპის ავტობუსებით აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურს - 888 ათას ამერიკულ აშშ დოლარს - „იტერა“ ივლისში მიიღებს", - განაცხადა თბილისის ვიცე-პრემიერმა თემურ ქურხულმა. მისი თქმით, თბილისის მთავრობა მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირის შეწყვეტას ვერ დაუშვებს. თბილისის მერი ვანო ზოდელავა აცხადებს, რომ ს/ს "თბილგაზს" მაისში მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის დასაფარავად საბანკო კრედიტის აღება მოუწევს. **მედია-ნიუსი**

# წითელი ჯვრის საზოგადოებას კიდევ ერთი შანსი მისცეს

ნანა ქადაგიშვილი

*წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაცია საქართველოში წლევანდელი წლის აპრილში, დაახლოებით, ორწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა, თუმცა, ჰუმანიტარული პროგრამების განხორციელება მაშინვე არ დაუწყია. ოქტომბერში გადაწყდება, ჩვენი მოსახლეობა წითელი ჯვრის დახმარებას კიდევ მიიღებს თუ არა.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო
დახმარების შანსი კიდევ არის

ორი წლის წინათ, წითელი ჯვრის საერთაშორისო ფედერაციასა და საქართველოს საზოგადოებას შორის განხეთქილების შემდეგ, ქართულმა მხარემ ფედერაციის დახმარების იმედი დაკარგა. როგორც ცნობილია, ფედერაციამ და საერთაშორისო დონორებმა ეროვნული საზოგადოების მაშინდელი ხელმძღვანელის, ნოდარ ცქიტიშვილის კეთილსინდისიერებაში ეჭვი შეიტანეს და საქართველოს ჰუმანიტარული პროგრამების დაფინანსება შეუწყვიტეს. 2001 წლის ნოემბერში ფედერაციის წარმომადგენლობა დაიხურა და დარჩა მხოლოდ ორკაციანი ოფისი, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საქართველოს მთავრობასთან კავშირის მიზნით.

მოგვიანებით, გენერალურ ასამბლეაზე, საზოგადოების ახალი ხელმძღვანელობა აირჩიეს. ნოდარ ცქიტიშვილმა ასამბლეის გადაწყვეტილება სასამართლოში გააპროტესტა. საზოგადოების ახალმა ხელმძღვანელმა ერთი წელი სასამართლოებში სირბილს მოანდომა. ფედერაციამ თავისი ექსპერტი საქართველოში მხოლოდ ამ პროცესის დასრულების შემდეგ, გასული წლის ოქტომბერში გამოგზავნა. ექსპერტმა "წითელი ჯვრის საზოგადოების ფილიალების მონახულების შემდეგ ასეთი დასკვნა გააკეთა: "შექმნილი კრიზისული სიტუაციის შედეგად, საზოგადოების ინფრასტრუქტურა მთლიანად მოიშალა, განადგურდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კიდევ ერთ ასეთ კოლაფსს ეროვნული საზოგადოება ველარ გადაიტანს".

ასეთი დასკვნის მიუხედავად, წელს 20 აპრილს საერთაშორისო ფედერაციის თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონალური დელეგაციის ხელმძღვანელი კარლ ნაიკლერი საქართველოში მაინც ჩამოვიდა და ჩვენი ქვეყნის წითელი ჯვრის საზოგადოებას კიდევ ერთი შანსი მისცა. 23 აპრილს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაციასა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას შორის ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, სადაც აღნიშნულია, რომ ფედერაცია საზოგადოებას დახმარებას გაუწევს შემდეგი პირობით: აუცილებელია საზოგადოების ახალი მმართველობისა და ხელმძღვანელი მუშაკებისთვის სემინარების ჩატარება, ეროვნული საზოგადოების მისიისა და სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბება, მმართველობისა და მენეჯმენტის ფუნქციების გამიჯვნა, წესდებაში ცვლილებების შეტანა. ამ, საკმაოდ რთული სამუშაოების ჩასატარებლად ფედერაციამ საზოგადოებას ექვსთვიანი ვადა მისცა.

თუ საზოგადოება ამ ყველაფერს ფედერაციის მოთხოვნის შესაბამისად შეასრულებს, ოქტომბრიდან ფედერაცია, პირველ რიგში, კატასტროფების მართვის პროგრამას დააფინანსებს, 2004 წლიდან კი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებსაც აღადგენს. როგორც საზოგადოების ამჟამინდელი პრეზიდენტი ნანა ყეინიშვილი აცხადებს, ყველა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, ინტენსიურად მუშაობენ. უკვე ჩატარდა ხუთდღიანი სემინარი ლიკანში, შემუშავდა საზოგადოების მისიის პროექტი და დადგინდა პრიორიტეტული მიმართულებები. მიმდინარეობს 2004 წლის ეფილისთვის (მიმართვა დონორებს) პროგრამების შემუშავება.

აღნიშნულის გარდა, საქართველოს დახმარებას ირანის ნახევარმთვარის საზოგადოებაც ჰპირდება. წელს ხელი მოეწერა მემორანდუმს, რაც თბილისში უფასო სამედიცინო-სამკურნალო ცენტრის გახსნას ითვალისწინებს. ირანი კატასტროფებისათვის მზადყოფნის პროგრამის დაფინანსებაშიც მიიღებს მონაწილეობას.

ასე რომ, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას სრულფასოვნად ამოქმედების რეალური შანსი გაუჩნდა. მთავარია, ფედერაციის ნდობა კიდევ არ დაიკარგოს.

# ცუდი მთავრობა კარგ პროგრამას ვერ შექმნის

## "ნაციონალური მოძრაობა" სიღარიბის პროგრამას იწუნებს

*საკრებულომ მთავრობას ახლადხელმოწერილი სიღარიბის დაძლევის პროგრამით თავმოწონება არ აცალა და გუშინ ანტიპროგრამისტული პრესკონფერენციით გამოეხმაურა. "ეს პროგრამა კი არა, კონცეფციაა, რომელიც ქვეყანას, გაძლიერების ნაცვლად, უარესად გააღარიბებს", – განაცხადა ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ლევან მეტრეველმა.*

ნანა თავაძე

კარგი პროგრამის შემუშავებას კარგი მთავრობა სჭირდება, აქედან გამომდინარე, ჩვენნაირი ცუდი მთავრობა კარგ პროგრამას ვერ შექმნისო,- ეს არის ის არგუმენტი, რის საფუძველზეც მეტრეველს ზემოთაღნიშნული დასკვნა გამოაქვს. ამას გარდა, მეტრეველი რამდენიმე კონკრეტულ მიზეზსაც ასახელებს. **"სიღარიბის დაძლევის პროგრამა, იმ სახით, როგორსაც, რამდენიმე დღის წინათ, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა, საქართველოს სოციალურად დაუცველ ფენას ჯანმრთელობის დაცვის უფლებას ართმევს. დღეს ყველაზე იაფი ქირურგიული ოპერაციის ფასიც კი სიღარიბის ზღვარს 7-ჯერ აღემატება. ეს პროგრამა კი მკურნალობის საფასურზე პაციენტის წილის გაზრდას ითვალისწინებს. ამის გარდა, სამედიცინო დაწესებულებების გაყიდვასაც გულისხმობს. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ პროგრამას ფინანსური გეგმა არ ახლავს და პროგრამის მთლიან ღირებულებაზე ოფიციალურად არავინ საუბრობს. სხვა წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ პროგრამის განსახორციელებლად დონორებისგან 140 მილიონი დოლარი უნდა შემოვიდეს. ჩვენ დონორებს ვურჩევთ, რომ პროგრამის ხარჯები კიდევ ერთხელ კარგად გადასინჯონ",** – განაცხადა მეტრეველმა.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელს პროგრამის ირგვლივ აჟიოტაჟის ატეხვა, მაინც და მაინც, პრეზიდენტის მიერ პროგრამაზე ხელის მოწერის შემდეგ რატომ გაახსენდა. მეტრეველს პასუხის გაცემა არ გასჭირვებია. პროგრამის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გამოვედი, რამაც შედეგი გამოიღო და მთავრობამ პროგრამის ახალი ვერსია შეიმუშავაო, - განმარტა მან.

სიღარიბის დაძლევის პროგრამის სარედაქციო ჯგუფის წევრს დავით გზირიშვილს ლევან მეტრეველის განცხადებებზე კომენტარის გაკეთებაც კი უჭირს. **"ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებზე პასუხის გაცემა ძნელია. როგორ შეიძლება, სიღარიბის დაძლევის პროგრამას ფინანსური გეგმა არ ჰქონდეს? პროგრამას მოკლე ფინანსური გეგმაც ახლავს და ხარჯთაღრიცხვის სრული ვარიანტიც. ამის გარდა, პროგრამაში სამედიცინო დაწესებულებების გაყიდვა კი არა, ოპტიმიზაციაც არ არის ნახსენები. ამას საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაცია-ოპტიმიზაციის გეგმა ისედაც ითვალისწინებს და პროგრამა ასეთ დეტალებს აღარ აკონკრეტებს. საავადმყოფოების გაყიდვასა და ექიმების შემცირებაზე საუბარი მეტრეველის იდეა-ფიქსია. სიღარიბის დაძლევის პროგრამას ექსპერტები და პოლიტიკოსები წლების განმავლობაში ამუშავებდნენ. ვისთვისაც იგი არაადექვატურია, მაშინ თქვას, რა არის ადეკვატური",** – აცხადებს დავით გზირიშვილი.


# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
# სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 23-27 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:**
**8 360.1 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 2 471.6 ათასი ლარი:**
- **დისკონტი - 502.9 ათასი ლარი;**
- **ეროვნული ბანკის პროცენტი - 1 963.0 ათასი ლარი;**
- **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 5.7 ათასი ლარი;**

**2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 83.2 ათასი ლარი:**
**ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი - 83.2 ათასი ლარი;**

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 5 156.3 ათასი ლარი;**
**საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება - 3 019.5 ათასი ლარი;**
- უშიშროების სამინისტრო - 533.0 ათასი ლარი;
- საქართველოს პროკურატურა - 370.0 ათასი ლარი;
- საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 339.5 ათასი ლარი;
- იუსტიციის სამინისტრო - 231.5 ათასი ლარი;
- დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 130.5 ათასი ლარი;
- რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები - 1 415.0 ათასი ლარი;

**საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის კვების ხარჯები - 6.9 ათასი ლარი;**
- ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი (ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი) - 4.0 ათასი ლარი;
- ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი - 2.9 ათასი ლარი;

**განათლების სამინისტროს პროგრამები - ენის სახელმწიფო პროგრამა (შრომის ანაზღაურება) - 150.5 ათასი ლარი;**
**საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები (მაისის თვის) - 1 503.0 ათასი ლარი;**
**საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია - 262.0 ათასი ლარი;**
**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო (ლტოლვილთა ერთჯერადი დახმარება) - 30.0 ათასი ლარი;**
**სახელმწიფო სარეზერვო ფონდი - 161.3 ათასი ლარი;**
- სახელმწიფო კანცელარია (მივლინება) - 151.7 ათასი ლარი;
- სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (მივლინება) - 9.6 ათასი ლარი;

**პრეზიდენტის საინვესტიციო ფონდი - 23.3 ათასი ლარი;**
- ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (ჩაის პროგრამა) - 23.3 ათასი ლარი;

**4. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 649.0 ათასი ლარი;**
**სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით - 244.2 ათასი ლარი:**
- თავდაცვის სამინისტრო - 176.0 ათასი ლარი;
- სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური(სომხეთის პრეზიდენტის ვიზიტის ხარჯები) - 44.0 ათასი ლარი;
- კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია - 16.0 ათასი ლარი;
- მეცნიერებათა აკადემია (ფიზიკის ინსტიტუტი) - 5.7 ათასი ლარი;
- საერთო სასამართლოები - 2.0 ათასი ლარი;
- უშიშროების საბჭო - 0.5 ათასი ლარი;

**საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯები - 4.8 ათასი ლარი;**
- მეცნიერებათა აკადემია (ფიზიკის ინსტიტუტი) - 3.2 ათასი ლარი;
- უშიშროების საბჭო - 1.6 ათასი ლარი;

**საქართველოს პრეზიდენტის 28.02.03 N211 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თავმჯდომარეობით შექმნილი კომისიის სხდომის 28.02.03 N2/8 ოქმის დავალებათა შესაბამისად, ენერგეტიკის სექტორის სუბსიდირებისათვის გადარიცხული იქნა 400.0 ათასი ლარი, მათ შორის "ელექტროენერგეტიკული სექტორის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დამატებითი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 12.02.03. N127 განკარგულების თანახმად გადაირიცხა 200.0 ათასი ლარი, ხოლო საქართველოს 22.11.02 N1762-Iს და N1764-IIს კანონების შესაბამისად შეღავათებით მოსარგებლე მოსახლეობის (ომის მონაწილეები და მათთან გათანაბრებულები) მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანაზღაურებისათვის მიიმართა 200.0 ათასი ლარი;**

**სულ ხარჯი: 8 360.1 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 2 471.6 ათასი ლარი:**
**- დისკონტი - 502.9 ათასი ლარი;**
**- ეროვნული ბანკის პროცენტი - 1 963.0 ათასი ლარი;**
**- სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 5.7 ათასი ლარი;**
**2. საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა - 83.2 ათასი ლარი:**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 5 156.3 ათასი ლარი;**
**4. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 649.0 ათასი ლარი;**
**- სხვა საქონელი და მომსახურება - 244.2 ათასი ლარი;**
**- მივლინება - 4.8 ათასი ლარი;**
**- სუბსიდია - 400.0 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**
**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**


## მისაღები გამოცდები - 2003

# "Alma Mater" - უნივერსიტეტი კარიერის ცენტრთან ერთად


ვახო ხაინდრავას ფოტო
"Alma Mater"-ი აბიტურიენტებს ელოდება

ნინო ცინცაძე

*დღეს უმაღლესში არავინ აბარებს იმ რომანტიული სურვილით ანთებული, რომ რომელიმე მივარდნილ სოფელში წავიდეს და იქ იმასწავლებლოს. აბიტურიენტთა უმრავლესობას კონკრეტული მიზანი ამოძრავებს: მიიღოს ისეთი განათლება, რომელიც შემდეგომში მისი დასაქმების გარანტი იქნება. ორი წლის წინ იუნესკოს ეგიდით ჩატარებული კვლევის მიხედვით, ასეთი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ რამდენიმე კერძო უმაღლესი სკოლაა. მათ შორისაა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი "Alma Mater".*

ვფიქრობ, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა საკუთარი სპეციალობით დასაქმების მაღალ მაჩვენებელს (86%) ორი რამ განაპირობებს: დამქირავებელზე ორიენტირებული პროფესიული სწავლება და სასწავლო პროგრამების დასავლურ სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანა.

უნივერსიტეტში, რომელიც 1992 წელს დაარსდა, 2000 წლიდან დაიწყო რეფორმა, რომლის ჩატარებასაც ნოტინგემის ტრენტ (დიდი ბრიტანეთი) და ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტები ხელმძღვანელობს.

თითოეული ფაკულტეტისთვის დონეების მიხედვით დაყოფილი ერთიანი პროგრამა იქმნება, რომელსაც ადგენენ არა ცალკეული კათედრები, არამედ პროგრამის კომიტეტები, რათა საგნებმა არ გადაფარონ ერთმანეთი, ადგილი არ ჰქონდეს გამეორებას და მოხდეს სასწავლო პროცესის მაქსიმალური კოორდინაცია. სტუდენტთა შეფასების სისტემა საკრედიტოა - ECTS ევროპული სტანდარტების სისტემით, რომელიც ითვალისწინებს სწავლის როგორც საკონტაქტო, ასევე ინდივიდუალურ და სემინარულ ფორმას. შეფასებისას ყურადღება ექცევა წლის განმავლობაში შესრულებულ რეფერატებსა და სხვადასხვა პროექტებში ჩართულობასაც.

ამჟამად უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე ოთხი ფაკულტეტი მუშაობს (ჰუმანიტარული, სამართლისა და სახელმწიფო მართვის, სტომატოლოგიური და ეკონომიკა/ბიზნესის) 15 სპეცილობით. სამაგისტრო პროგრამაზე - სამი ფაკულტეტი, 7 სპეციალობით. PhD პროგრამაზე - ორი ფაკულტეტი, 5 სპეციალობით. 2003 წლიდან უნივერსიტეტი სამივე ამ პროგრამაზე აცხადებს მიღებას. PhD, ჯერჯერობით, ჩვენში მიღებული აკადემიური ხარისხი არ არის, თუმცა თანდათან სულ უფრო ნათელი ხდება, რომ ამ სტანდარტზე გადასვლის გარეშე ქართული განათლების სისტემა ევროპულ სტრუქტურებთან ნორმალურ ინტეგრირებას ვერ მოახერხებს. იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც დისერტაციის დაცვა საბჭოთა კავშირში მიღებული სქემით - ასპირანტურა, საკანდიდატო, სადოქტორო ხარისხები - არ სურთ, "Alma Mater"-ი საკუთარი კონტაქტების დახმარებით უზრუნველყოფს PhD-ის მოპოვებას პარტნიორ უნივერსიტეტებში, შესაბამისი კვალიფიკაციის ხელმძღვანელის გამოყოფით საქართველოში.

დასავლური გამოცდილების შედეგი უნდა იყოს ისიც, რომ "Alma Mater"-ში კარიერის ცენტრი არსებობს. ამ ცენტრს სტუდენტმა შეიძლება მიმართოს როგორც უნივერსიტეტის დამთავრების წინ (რათა მოიძებნოს მისთვის შესაბამისი სამუშაო ადგილი ბაკალავრიატის დამთავრებისთანავე), ასევე არდადეგების პერიოდში, შედარებით მცირევადიანი სამსახურის მოსაძებნად. კარიერის ცენტრს გააჩნია შესაბამისი განაცხადის ფორმები. მათი შევსების შემდეგ სტუდენტი 3 თვეში ერთხელ იღებს და ირჩევს მისთვის საინტერესო ინფორმაციას. თანხმობის შემთხვევაში კი იწყებს სამსახურს.

ვინც უნივერსიტეტით დაინტერესდა მათ ვაცნობებთ, რომ საბუთების მიღება უნივერსიტეტში 20 ივნისს, გამოცდები კი აგვისტოს პირველ ნახევარში დაიწყება. მისაღები გამოცდები სამეტაპიანია: პროფესიული ესე, კომბინირებული ტესტი სპეციალობაში (პროგრამას საბუთების შეტანისას მიიღებთ) და ტესტირება ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის. ყველაზე მაღალი გადასახადი სტომატოლოგიურზეა - 800 აშშ. დოლარი. სწავლის საფასურის გადახდა შეიძლება ეტაპობრივადაც. როგორც ყველა მსგავსი ტიპის სასწავლებელს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტსაც აქვს საკუთარი ლიცეუმი და კოლეჯი.

## მოკლედ

### მეწარმეები გაყალბების საწინააღმდეგო კანონს ლობირებენ

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ეროვნული პროგრამის ფარგლებში თბილისში, სასტუმრო "თორში" გამართული სამუშაო შეხვედრა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების დაცვას ეხებოდა. მას ესწრებოდნენ ამ პროგრამის, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული ცენტრის, "საქპატენტის", პარლამენტისა და შესაბამისი სამინისტროების, არასამთავრობო სექტორის და კავკასიის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჯგუფის (BPG) წარმომადგენლები.

კავკასიის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჯგუფის წარმომადგენლებმა ისაუბრეს საკუთარ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც ითვალისწინებს ეფექტურ ბრძოლას ფალსიფიკაციასა და კონტრაბანდასთან. ეს ინიციატივა შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებმა მოიწონეს და მალე პარლამენტს წარუდგენენ.

BPG-ი საგანმანათლებლო პროგრამებს ინტერნეტ-საიტებითა და ახლად ამოქმედებული "ცხელი ხაზის" საშუალებით ახორციელებს. კერძოდ, „ცხელი ხაზით“ ნებისმიერ დაინტერესებულ თუ დაზარალებულ მოქალაქეს იურიდიულ დახმარებას უწევენ კომპეტენტური იურისტები.

მეწარმეთა არაფორმალური გაერთიანება – კავკასიის ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ჯგუფი - 11 კომპანიას აერთიანებს. მათ შორისაა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია", "ჯილეტი", "ნესტლე", "ფილიპ მორისი", "ჩიბო" და სხვა.

**მედია-ნიუსი**

### გარემოვაჭრეები მერიის წინააღმდეგ

მეტრო "ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორიაზე გარე მოვაჭრეებმა, რომელნიც ადმინისტრაციულმა ინსპექციამ ერთი კვირის წინათ აღებულ ჯიხურებს მიაყოლა, გუშინ მერიის შენობის წინ საპროტესტო აქცია მოაწყვეს. ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მუმლაძე ჯიხურების აღების შედეგად უსამსახუროდ დარჩენილ მოვაჭრეებს მეტროს სიახლოვეს მდებარე ბაზრობებზე ალტერნატიულ ფართის უსასყიდლოდ გამოყოფას შეჰპირდა, თუმცა, აქციის მონაწილენი ირწმუნებიან, რომ მათთვის არავის არაფერი შეუთავაზებია. "ჯიხურებში მოვაჭრეებს ბაზრობაზე ვაჭრობის უფლება კი მისცეს, მაგრამ თვეში 200-300 ლარის გადახდა მოსთხოვეს. ჩვენთვის კი ესეც არ შემოუთავაზებიათ," – ჩივიან მოვაჭრეები. დავით მუმლაძე ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. "ბაზრობების ხელმძღვანელები სასტიკად გავაფრთხილეთ, რომ მოვაჭრეებს ერთი თეთრიც არ გამოართვან. ეს ხალხი აამხედრა პოლიციისა და გამგეობის იმ წარმომადგენლებმა, ვინც ადრე მოვაჭრეებს წილში ეჯდა. ბუნებრივია, მათ შემოსავლის დაკარგვა არ უნდათ", – აცხადებს მუმლაძე.

*24 საათი*

# ირანი ინსპექტირებაზე უარს ამბობს

რევაზ ბახტაძე

თეირანში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტის ყველაზე ხელშესახები შედეგი არის ის, რომ ირანი უახლოეს მომავალში მოლაპარაკებების გასამართად ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს დირექტორს მოჰამად ელბარადეის მიიწვევს.

ირანის ოფიციალური საინფორმაციო სააგენტო "ირნას" ცნობით, ირანის ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჰასან როჰანიმ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვედრისას უთხრა, რომ "ირანი ელბარადეის მოწვევას აპირებს, რათა ტექნიკური პრობლემები გადაიჭრას".

ირანის მთავრობამ სტროს დაჟინებული მოთხოვნა უარყო, რომლის თანახმად, თეირანმა ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ირანის ბირთვული რეაქტორების დეტალური ინსპექტირების საშუალება უნდა მისცეს.

ირანის ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, ისინი ატომური სააგენტოს დამატებითი პროტოკოლის ხელმოწერას და მკაცრი ინსპექტირების შესაძლებლობას არ გამორიცხავენ, ოღონდ ატომური ენერგიის სააგენტომ, თავის მხრივ, ირანს საკუთარი ბირთვული პროგრამების გასავითარებლად დასავლეთის ბირთვული ტექნოლოგიების გაცნობის უფლება უნდა მისცეს. ამ მოთხოვნას სააგენტო და წევრი ქვეყნები არ ეთანხმებიან.

ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ცნობით, პრეზიდენტმა მოჰამად ხათამიმ ჯეკ სტროს შეხვედრისას უთხრა: "ირანი ატომური ენერგიის სააგენტოსთან თანამშრომლობის მომხრეა. თუმცა, გვიჩნდება შეკითხვა: რატომ არ დაეხმარნენ სააგენტოს წევრები ირანს მშვიდობიანი ბირთვული ტექნოლოგიების განვითარებაში?".

ატომური ენერგიის სააგენტოს დირექტორმა ელბარადეიმ რამდენჯერმე განაცხადა, რომ მხოლოდ დეტალური ინსპექტირების შემდეგ შეძლებს ირანი ეჭვების გაფანტვას და იმის დამტკიცებას, რომ იგი ბირთვული იარაღის შექმნას არ ცდილობს.

სტრომ ირანის ხელისუფლებას კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ სააგენტოს ინსპექტორების შეშვებაზე უარის თქმა ირანისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის ნდობას შეამცირებს და, შესაძლოა, ამჟამად ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის სფეროში მიმდინარე მოლაპარაკებებზე უარყოფითად აისახოს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჰამიდ რეზა ასეფის თქმით, სტროს ვიზიტმა ატომური ენერგიის სააგენტოსთან მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხიდან ვერ გამოიყვანა. თუმცა, სსს-მ დასძინა, რომ საკითხი ღიაა და, შესაძლოა, ყველაფერი შეიცვალოს.

"ჩვენ მზად ვართ, ევროპული ქვეყნების მოსაზრებები გავითვალისწინოთ, მაგრამ ეს პროცესი ცალმხრივი ვერ იქნება. მათ ჩვენ ნათლად უნდა განგვიმარტონ, რა მოჰყვება პროტოკოლის ხელმოწერას. ორივე მხარემ ერთიმეორის წუხილი უნდა გაიზიაროს", - განაცხადა ასეფიმ გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

ტერორიზმის თაობაზე ხარაზიმ აღნიშნა, რომ ამ საკითხშიც ირანი ურთიერთდახმარების პრინციპით მუშაობას მოითხოვს. ირანს სურს, რომ ამერიკელებმა და ბრიტანელებმა ერაყში მოქმედი ირანული ოპოზიციური დაჯგუფების წევრები თეირანს გადასცენ.

დაახლოებით, ორი წლის განმავლობაში ეს ჯეკ სტროს მეოთხე ვიზიტია ირანში. 2002 წლის დასაწყისში შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბუშმა ირანი "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორის დაასახელა.

ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მოკავშირეობის მიუხედავად, თეირანთან ლონდონის "კონსტრუქციული დიალოგის" პოლიტიკა შეერთებული შტატების გაცხადებულ პოლიტიკას ეწინააღმდეგება. ვაშინგტონი საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს, რომ ირანის რეჟიმის იზოლირება მოახდინონ.

ჯეკ სტროს ვიზიტი ირანში დაძაბულ პოლიტიკურ ფონს დაემთხვა. თეირანის ქუჩებში თითქმის ყოველდღიურად სტუდენტები გამოდიან და ხელისუფლების შეცვლას ითხოვენ.

ხარაზიმ თავის ბრიტანელ კოლეგას პირდაპირ განუცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მიერ დემონსტრანტებისათვის საჯარო მხარდაჭერის გამო, ირანის მთავრობა ძალზე ნაწყენია.

ირანის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, ტონი ბლერმა მშვიდობიანი დემონსტრანტები და საზოგადოებრივი ქონების დამრბევი ვანდალები ერთმანეთისაგან უნდა განასხვაოს.

ამ გამოსვლების დროს დაჭერილი სტუდენტების გათავისუფლების მოთხოვნით, რამდენიმე დღეა, ოთხი პარლამენტარი პროტესტის ნიშნად მჯდომარე აქციას ატარებს.

# „გაზპრომი" თურქეთს უჩივის

ხანგრძლივი მოლაპარაკებების მიუხედავად, "გაზპრომმა" და თურქეთის ხელისუფლებამ დავის მოგვარება ვერ მოახერხეს. "გაზპრომმა" განაცხადა, რომ თავისი პარტნიორების წინააღმდე სტოკჰოლმის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა.

საქმე ეხება რუსეთიდან თურქეთში გაზის მიწოდებას, რომელიც შავი ზღვს ფსკერზე გამავალი გაზსადენით, „ცისფერი ნაკადით" უნდა განხორციელებულიყო. "გაზპრომმა" და მისმა პარტნიორებმა მილსადენის მშენებლობაში 3 მილიარდ დოლარზე მეტი დააბანდეს. თავის მხრივ, თურქეთმა პირობა დადო, რომ რუსულ გაზს შეიძენდა, პირველ წელს 2 მილიარდ კუბურ მეტრს, შემდგომ წლებში კი - 16 მილიარდს.

გაზის მიწოდება წლის დასაწყისიდან დაიწყო, თუმცა მალევე შეწყდა. თურქული მხარე აცხადებს, რომ ეკონომიკურმა კრიზისმა გაზზე მოთხოვნილება სერიოზულად შეამცირა და იგი რუსული გაზის შეძენას ველარ შეძლებს, თუ „გაზპრომმა" მასზე ფასი მნიშვნელოვნად არ შეამცირა (ათას კუბურ მეტრზე 120-დან 75 დოლარამდე).

პარალელურად, ახალი მთავრობის ინიციატივით, თურქეთში მიმდინარეობს გამოძიება ენერგეტიკის სამინისტროსა და კომპანია „ბოტაშის" მესვეურების წინააღმდეგ. მათ ბრალი კორუფციაში ედებათ. ბოლო ხანს ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ რუსეთმა თურქი ენერგომამები მოქრთამა და ამ გზით დაიყოლია გაზსადენის აშენებაზე, რასაც ექსპერტთა დიდი ნაწილი ანკარის სტრატეგიულ და ეკონომიკურ შეცდომად მიიჩნევს.

„გაზპრომი" ხელშეკრულების პირობების განუხრელად შესრულებას მოითხოვს. იგი აცხადებდა, რომ ხანგრძლივ სასამართლო პროცესს დავის მოლაპარაკებების გზით მოგვარება ერჩია. მაგრამ, შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა. თურქულმა მხარემ, თავის მხრივ, განაცხადა, რომ „გაზპრომს" თვითონ უჩივლებს.

ექსპერტთა ნაწილის აზრით, ის ფაქტი, რომ თურქეთმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შაჰ-დენიზი-ერზრუმის გაზსადენის მომავალზე შეიძლება უარყოფითად აისახოს.

# მარკ ბჟეზინსკი: პანკისი ჩეჩნებისათვის კორიდორად რჩება

პირველი გვერდიდან

თუმცა, დღეს საქართველოს მთავრობა ამ ინფორმაციებთან დაკავშირებით ყურსაც არ იბერტყავს და მათ გამონაგონს ან პროვოკაციას უწოდებს.

ერთი მხრივ, მთავრობას დამშვიდების საფუძველი აქვს. რუსეთის მხრიდან აგრესიის საფრთხე შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა. ჯერ ერთი, ჩეჩნეთის კონფლიქტის მოგვარების მიმართ რუსეთის მიდგომა შეიცვალა. ფედერალურმა ხელისუფლებამ რეფერენდუმი ჩაატარა, ამნისტია გამოაცხადა, ახლა არჩევნების გამართვას აპირებს. მეორეც, თუ შარშან რუსეთს ერაყში ომის იმედი ჰქონდა და ვაშინგტონთან გარიგების მიღწევას ცდილობდა, ამჟამად მას აშშ-თან ურთიერთობების აღდგენა სურს.

მთავრობას დამშვიდების საფუძველს აძლევს ისიც, რომ პანკისის პრობლემას მოგვარებულად მიიჩნევს ვაშინგტონიც. აშშ-ს ადმინისტრაციასთან დაახლოებული წყაროების განცხადებით, პანკისი ის უიშვიათესი შემთხვევა იყო, როდესაც საქართველოს მთავრობამ რეალური პრობლემის გადაჭრა შეძლო.

თუმცა, პანკისი სწორედ ის შემთხვევაა, სადაც მთავრობის სიმშვიდე საზოგადოების შეშფოთებას უნდა იწვევდეს. პრობლემისადმი წაყრუებით ხელისუფლება ერთხელ უკვე მივიდა კატასტროფის ზღვართან. ახლაც ნელნელა იქმნება პირობები იმისათვის, რომ პანკისში აღდგეს 2001 წლამდე არსებული სტატუს-ქვო.

# ამერიკელები ერაყელების წინააღმდეგობის დათრგუნვას „ჩხრიალა გველით" აპირებენ

ლევან ღირსიაშვილი

*აშშ-ს სამხედრო ნაწილებმა ერაყის ტერიტორიაზე მორიგი ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის ჩატარება დაიწყეს. სამხედრო მანევრებში რამდენიმე ათასი ჯარისკაცი, რამდენიმე ასეული ტანკი და საბრძოლო ჯავშანმანქანა მონაწილეობს. ოპერაცია, კოდური სახელით "საიდუინდერი" (ჩხრიალა გველის ერთ-ერთი სახეობაა), ე.წ. "სუნიტური სამკუთხედის" გასანადგურებლად არის გამიზნული და, შესაბამისად, ბაღდადიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ხორციელდება. ქვეყნის ამ ნაწილში სადამის რეჟიმს ყველაზე ძლიერად ჰქონდა ფესვები გადგმული. "სუნიტური სამკუთხედის" ზედა წვერი თიქრითია სადამის მშობლიური ქალაქი.*



*ამერიკელმა სამხედროებმა სადამის მომხრეების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ოპერაცია წამოიწყეს.*

REUTERS

ამ ოპერაციის ფარგლებში აშშ-ს სამხედრო თვითმფრინავებმა ოცამდე გაფრენა განახორციელეს და სადამის მომხრეთა სახლებს და ბაასისტთა პოზიციებს წერტილოვანი დარტყმები მიაყენეს. ამერიკელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, ოპერაციის პირველივე ეტაპზე სადამის მომხრეებისთვის კოალიციის საოკუპაციო ნაწილების აშკარა უპირატესობა ეჩვენებინათ. **"ჩვენ მათ ისეთ დამთრგუნველ სამხედრო ძალას ვუჩვენებთ, რომ მათ საპასუხო სროლაც კი ვერ გაბედონ,"** - ოპერაციის დაწყებამდე სააგენტო "ბიბისის" განუცხადა აშშ-ს არმიის ვიცე-პოლკოვნიკმა მარკ იანგმა.

ერაყში მყოფი აშშ-ს სამხედრო ნაწილების აღშფოთება ბოლო ხანებში ამერიკელ ჯარისკაცებზე თავდასხმების გახშირებამ გამოიწვია. სადამის მომხრეები, რომლებმაც, პარტიზანული ომის ტაქტიკა აირჩიეს, არც ბრიტანელებს ინდობენ. ერთი კვირის წინ, ექვსი ბრიტანელის მკვლელობის მომდევნო დღეს, ყატარის ტელეკომპანია "ალ-ჯაზირამ" არაბულ სამყაროს ერაყში პარტიზანული შენაერთის ჩამოყალიბების შესახებაც აუწყა. გავრცელდა ამ დაჯგუფების მიმართვა ერაყელებისადმი. პარტიზანები მოსახლეობას ხელში იარაღის აღებისკენ და თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდებენ.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა ბუშმა ერაყში ომის დასრულება მთელ მსოფლიოს პირველ მაისს ავიამზიდ "აბრაამ ლინკოლნიდან" აუწყა. პირველი მაისიდან დღემდე კი, ერაყში 63 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. მათ შორის, 22-მა ერაყელთა ხელით დაასრულა სიცოცხლე, ხოლო 36 უბედური შემთხვევების მსხვერპლი გახდა. ოთხი ამერიკელის სიკვდილის მიზეზების დადგენას გამოძიება ამჟამადაც ცდილობს. პირველ მაისამდე საომარ მოქმედებებში კი 138 ამერიკელი დაიღუპა. ე.ი. სულ ერაყში აშშ-ს სამხედრო მოსამსახურეთა მსხვერპლის რაოდენობამ 201 შეადგინა. ბრიტანელებს შორის მსხვერპლი მხოლოდ 42 ჯარისკაცით განისაზღვრება. მიუხედავად იმისა, რომ ეს არცთუ ისე დიდი ციფრია, ამერიკელებს აშფოთებთ ზრდის ტენდენცია. კერძოდ, მაისის თვეში ერაყელებმა 6 ამერიკელი მოკლეს, ხოლო ივნისში მსხვერპლი ათით გაიზარდა და 16-ს მიაღწია, - იუწყება სააგენტო "ბიბისი."

**"პრობლემა ვერ გადაიჭრება, ვიდრე ჰუსეინი თავისუფალი იქნება. ჩვენ მას, ცოცხალს ან მკვდარს, ხელში ჩავიგდებთ,"** - განაცხადა "სი-ენ-ენ"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში ერაყის დროებითი ადმინისტრაციის მეთაურმა პოლ ბრემერმა.

სამხედრო ოპერაცია "საიდუინდერის" პარალელურად, ერაყში კოალიციის ნაწილებმა მასობრივი დაპატიმრებები დაიწყეს. როგორც ჩანს, ერაყელთა დაკავება, ისევე როგორც მოსახლეობიდან იარაღის მასიური ამოღება, ოპერაციის ერთ-ერთ ნაწილს შეადგენს.

შაბათს, ჯერ კიდევ ფართომასშტაბიანი ოპერაციის დაწყებამდე აშშ-ს სამხედრო ძალებმა ქალაქ მოსულში თხუთმეტი ერაყელი დააპატიმრეს. ხოლო კვირას, როდესაც ოპერაციის ძირითადმა ფაზამ აიღო სტარტი, პროვინცია დიალაში ამერიკელებმა, დაახლოებით, 60 ერაყელი ტყვედ აიყვანეს. მათი დიდი ნაწილი დაკითხეს, რის შემდეგაც გაათავისუფლეს. **"ჩვენთან ხუმრობა იოლი არ არის,"** - განუცხადა გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმსს" მეოთხე ქვეითი დივიზიის ერთ-ერთი ბატალიონის მეთაურმა ვიცე-პოლკოვნიკმა ობრი გარნერმა. მისდამი დაქვემდებარებულმა ბატალიონმა ოცამდე შაშხანის კონფისკაცია მოახდინა და სამი ერაყელი მებრძოლი დაატყვევა. მათ შორის აღმოჩნდა სადამის არმიის სამხედრო მზვერავი ამირ ისმაილ მოჰამედიც, რომელსაც სხვადასხვა პირებზე გაცემული ხუთი ცალი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სამხედრო ლიტერატურა აღმოუჩინეს.

სამხედრო ოპერაცია "საიდუინდერმა" ერაყის ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილები სრულად მოიცვა. ამერიკელები ყოველგვარი წინააღმდეგობის და დანაკარგების გარეშე აგრძელებენ წინსვლას, იარაღის ძებნას და კონფისკაციას და საეჭვო პირების დაპატიმრებებს. მიუხედავად ამისა, ოპერაციას წარმატებული არ შეიძლება ეწოდოს, რადგან ამერიკელმა სამხედროებმა რეიდების დროს, ვერც ერთი სერიოზული ძებნილის დაკავება ვერ მოახერხეს. ქალაქ ბალადიდან რამდენიმე მილის დაშორებით განხორციელებული რეიდის დროს, ამერიკელებს იმედი ჰქონდათ, რომ ერაყის ყოფილი დაზვერვის სამსახურის პოლკოვნიკ ასად ადენს მოიხელთებდნენ. წინასწარ მონიშნული ტერიტორიის საგულდაგულოდ გაჩხრეკის შემდეგ, ამერიკელმა სამხედროებმა რამდენიმე ბროშურა იპოვეს, რომელიც ძებნილი პოლკოვნიკის მიერ იყო დაწერილი. გარდა ამისა, მათ რამდენიმე შაშხანა, მათ შორის - ორი "კალაშნიკოვის" ტიპის ავტომატი აღმოაჩინეს. ეს იარაღი ერთ-ერთი ერაყელი ქალის სახლში ზეწრების ქვეშ იყო დამალული. ძებნილ პოლკოვნიკს კი ამერიკელებმა ვერ მიაგნეს.

უნდა ითქვას, რომ "საიდუინდერის" დაწყებამ ამერიკელ სამხედროებზე თავდასხმები ვერ შეაჩერა. კვირას, ბაღდადის საერთაშორისო აეროპორტის გზაზე, ერაყელი პარტიზანების თავდასხმის შედეგად, ორი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა, ხოლო ერთი ერაყელი კი საპასუხო სროლის დროს დაიღუპა.

შეძლებენ თუ არა ამერიკელები ამგვარი ოპერაციებით ერაყზე კონტროლის დამყარებასა და ვითარების სტაბილიზაციას? დემოკრატი სენატორი ჯოზეფ ბიდენი, დარწმუნებულია, რომ აშშ-ს არმიის მიერ ერაყის ოკუპაცია, დაახლოებით, ხუთი წელი მაინც გაგრძელდება.

რესპუბლიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი კი აცხადებს, რომ "ერაყში სამხედრო ოპერაციის ეს ფაზა **"ძალიან, ძალიან რთული, ხანგრძლივი და, შესაძლოა, ძალზე სისხლიანი აღმოჩნდეს, მათ შორის - ამერიკელებისთვისაც."**

ერაყში ამერიკელთა ოკუპაციას საკმაოდ საინტერესო სტატია მიუძღვნა "ფაინენშალ ტაიმსის" გუშინდელმა ნომერმა. აქ გაანალიზებული და ერთმანეთს შედარებულია აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკური მიზნები ერაყში და რუსეთის მოქმედება ჩეჩნეთში. **"აშშ-ს აქვს შანსი, არ გაიმეოროს რუსეთის გამოცდილება. რუსეთმა პირობა დადო, რომ სამხედრო ოპერაციას ჩეჩნეთის ინფრასტრქტურაში და სოციალურ სფეროში უდიდესი ინვესტიციები მოჰყვებოდა. თუმცა, ჩეჩნეთში ცხოვრების დონე ცუდიდან აუტანლამდე დაეცა. შედეგად, ჩეჩნეთის მოსახლეობა რუსეთის ჯარებს არა განმათავისუფლებლებად და კეთილმოსურნეებად, არამედ მჩაგვრელებად მოიხსენიებს,"** - ნათქვამია სტატიაში. დასასრულს, "ფაინენშალ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ თუკი ამერიკელები არ გამოამჟღავნებენ პატივისცემას ერაყელთა ნაციონალური და კულტურული ღირებულებების და სიამაყის მიმართ, აშშ ერაყელთა გულების მოსანადირებლად წარმოებულ ომს წააგებს. ეს რომ ასე იქნება, ამას დიდი ანალიზი არ სჭირდება. განსაკუთრებით მაშინ, როცა მაგალითად ირანის რევოლუციაც გვაქვს.

# დღეს იტალია ევროკავშირის პრეზიდენტი გახდა

გუშინ იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ იმ საკითხების ნუსხა გამოაქვეყნა, რომლის გადაჭრა მას ევროკავშირის პრეზიდენტობის დროს მოუწევს. იტალია ევროკავშირის პრეზიდენტობას როტაციული წესით დღეს ჩაიბარებს.

იტალიას მომავალი ექვსი თვის განმავლობაში ევროკავშირის წინაშე მდგარ შემდეგ საკითხებზე მოუწევს ზრუნვა:

კონსტიტუცია – ოქტომბრის შუა რიცხვებში რომში გაიმართება მოლაპარაკებები, სადაც ევროკავშირის პირველი კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი შეთანხმდება, რომლის მიზანს ევროკავშირის ინსტიტუტების რეფორმირება წარმოადგენს.

იტალიას მძიმე სამუშაო ელის იმ წევრების დასარწმუნებლად, რომლებიც კონსტიტუციის მიღების საკითხს სკეპტიკურად უყურებენ. არადა, დაგეგმილია, რომ 2004 წლის 1 მაისს რომში ევროკავშირის წევრმა 15-მა სახელმწიფომ და წევრობის კანდიდატმა 10-მა ქვეყანამ საბოლოო დოკუმენტს ხელი უნდა მოაწერონ.

კონსტიტუციის პროექტით გათვალისწინებულია ევროკავშირის ამჟამინდელი აღმასრულებელი ორგანოს – ევროკომისიის უფლებამოსილებების შეკვეცა, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის შემოღება, რომლის გადაწყვეტილებებს წევრი სახელმწიფოები ვეტოს ვერ დაადებენ.

ეკონომიკა - იტალიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საზრუნავი ევროპული ეკონომიკების სტიმულირება იქნება. იტალიის ეკონომიკის მინისტრმა ჯულიო ტრემონტიმ სპეციალური გეგმა წარმოადგინა, რომელიც ევროპაში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას ინფრასტრუქტურაში მილიარდობით დოლარის ინვესტირებით აპირებს.



*სილვიო ბერლუსკონის მძიმე სამუშაო ელის.*

REUTERS

ევროკავშირის ლიდერებმა უკვე მოუწოდეს იტალიას, თავიანთი გეგმის განსახორციელებლად ევროპის საინვესტიციო ბანკი გამოიყენოს და პანევროპული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და განახლება დაიწყოს.

საგარეო პოლიტიკა – არანაკლებ რთული იქნება ევროკავშირის ერთიანი საგარეო პოლიტიკის შემუშავება. ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, ბერლუსკონის ახლო კავშირები შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან ტრანსატლანტიკური დაძაბულობის განმუხტვას შეუწყობს ხელს. თუმცა, სკეპტიკოსების თქმით, წევრი სახელმწიფოების განსხვავებული შეხედულებები ამ ამოცანას ძალზე გაართულებს.

იტალიის განცხადებით, ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო გეგმის - "საგზაო რუკის" განხორციელება იქნება. ყურადღების ცენტრში იქნება ირანიც.

პენსიები – ბერლუსკონიმ აღნიშნა, რომ მას განზრახული აქვს ევროპელ პენსიონერთა მზარდ რაოდენობაზე გაწეული დანახარჯების დიდი ნაწილი ევროკავშირს გადაულოცოს და ეროვნული მთავრობების ტვირთი შეამსუბუქოს.

იმიგრაცია – იმიგრაცია ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხია ევროკავშირში. წევრ სახელმწიფოებს საერთო ხედვა არ აქვთ, თუ რა უნდა უყონ უამრავ არალეგალურ იმიგრანტს, რომელთა რიცხვი წლითი-წლობით იზრდება.

იტალიის აზრით, ამ პრობლემას იმ ქვეყნებთან მოლაპარაკებების გზით უნდა მოევლოს, საიდანაც ყველაზე დიდი რაოდენობით მიგრანტი ჩადის ევროკავშირში.

# თურქეთი ზღვარზე

სტივენ ბლანკი
„ეურაზიანეტი"

მაშინ, როდესაც თურქეთი ევროკავშირში გაწევრიანებას ცდილობს, აშშ-სთან ამ ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობა ეჭვქვეშ დგება. ვაშინგტონი ანკარასთან ურთიერთობების გაუმჯობესებას მანამ არ დათანხმდება, სანამ თურქეთი ფეხს არ აუწყობს ამერიკის აგრესიულ პოლიტიკას ირანისა და სირიის მიმართ. ერდოგანის პრობლემაც სწორედ ისაა, რომ იგი ვერ შეძლებს ვაშინგტონს ისე დაუჭიროს მხარი, რომ პარალელურად, თავისი ამომრჩევლის მხარდაჭერა არ დაკარგოს.

თურქეთ-ამერიკის ურთიერთობები მას შემდეგ დაიძაბა, რაც ერაყის ომის წინ თურქეთის პარლამენტმა თავის ტერიტორიაზე აშშ-ს სამხედროების განთავსებაზე ვაშინგტონს უარი უთხრა. ივნისის ბოლოს თურქეთის მთავრობამ მოკავშირეებს საკუთარი პორტები და აეროდრომები შესთავაზა, მაგრამ ამ დაგვიანებულმა ჟესტმა ვაშინგტონზე დიდად არ იმოქმედა.

მაშინ, როდესაც საგარეო საქმეთა მინისტრი გული ამერიკასთან ალიანსის შენარჩუნებას ცდილობს, პრემიერი ერდოგანი ირანისა და სირიის მიმართ პოლიტიკას უფრო ისლამისტურ პრინციპებზე აგებს. ამგვარი უთანხმოება ხელს უშლის მთავრობას რეფორმების გატარებაშიც, რაც ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

სამოქალაქო ხელისუფლებაში არსებული განხეთქილება სამხედროებთან ისედაც დაძაბულ ურთიერთობას კიდევ უფრო ამწვავებს. გენერლების ერთი ნაწილი უკმაყოფილოა იმით, რასაც ამბობს და აკეთებს მთავრობა და სამხედრო ისტებლიშმენტს პოლიტიკაში პირდაპირი ჩარევისაკენ მოუწოდებს. თავის მხრივ, ერდოგანმაც გაანაწყენა ეროვნული უშიშროების საბჭო, როდესაც წინასწარ არ წარუდგინა რეფორმების ის პაკეტი, რომელიც პარლამენტმა 19 ივნისს, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი კრიტერიუმების დაკმაყოფილების მიზნით მიიღო. ეს რეფორმები, რომლებიც ზღუდავს მათ გავლენას და ქვეყანაში მოქმედ ზოგიერთ შეზღუდვას ხსნის, გენერლებს მაინცდამაინც არ მოეწონათ. გაატარებს თუ არა პარლამენტი ყველა საჭირო რეფორმას, მიიჩნევს თუ არა ამას ევროკავშირი საკმარისად და როგორ შეხედავენ ამ ყველაფერს გენერლები, ჯერჯერობით, არავინ იცის.

კვიპროსის სტატუსთან დაკავშირებით შექმნილმა ჩიხმა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანებას შეიძლება კიდევ ერთი დაბრკოლება შეუქმნას. თურქმა კიპრიოტებმა, როგორც ჩანს, ანკარას მხარდაჭერის იმედით, გაერო-ს მიერ შეთავაზებული სამშვიდობო გეგმა ჩააგდეს. კვიპროსის პრობლემა ხაზს უსვამს უფრო ზოგად დილემას: თურქეთს სურს თავისი ცივილიზებული და მოქნილი საგარეო პოლიტიკით ამერიკასა და ევროპაზე შთაბეჭდილება მოახდინოს, მაგრამ ასეთი პოლიტიკის რეალურად განსახორციელებლად მისი ინსტიტუტები მეტისმეტად სუსტია. მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ სამხედროებისა და მთავრობის პრიორიტეტები ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანას ართულებს.

სანამ ამერიკელი დიპლომატები თურქეთთან ურთიერთობების მომავალზე მსჯელობენ, ხოლო ევროპელები ელოდებიან, როდის შეასრულებს თურქეთი კანდიდატი ქვეყნების წინაშე დაყენებულ მოთხოვნებს, ერდოგანს ბევრ რამეზე უწევს თავისმტვრევა. თუ ამერიკასთან ურთიერთობები ცივი დარჩა, ხოლო ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი შეჩერდა, მაშინ ანკარამ აღმოსავლეთისაკენ შეიძლება დაიწყოს ყურება და ცენტრალური აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კავშირის გამტკიცებას ეცადოს. თურქეთის ოცნებას, გახდეს ეკონომიკურად წარმატებული, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც მისაბაძი მოდელი იქნება სხვა მუსლიმური ქვეყნებისათვის, ასრულება მხოლოდ ევროკავშირის შემადგენლობაში უწერია. ევროკავშირში შესასვლელად კი თურქეთის სამხედრო ისტებლიშმენტი კარდინალურად უნდა გარდაიქმნას.

თურქეთის პირველმა პრეზიდენტმა, ქემალ ათათურქმა შექმნა მოდელი, რომელმაც ოსმალთა იმპერიის დაშლით გამოწვეული კრიზისიდან თურქეთი წარმატებით გამოიყვანა. 80 წლის შემდეგ, ეს მოდელი უსარგებლო ხდება. თურქეთს თუ სურს, მუსულმანური ქვეყნებისათვის მოდელად იქცეს, მაშინ მას ახალი სტრატეგიული ხედვა დასჭირდება. ხედვა, რომელიც როგორც მთავრობისაგან, ისე სამხედროებისაგან გამჭვირვალობას, დემოკრატიულობასა და სამართლიან კონკურენციას მოითხოვს.

## ინფოთეკა

**ფეხბურთი.** მარსელის "ოლიმპიკი" მოლაპარაკებას აწარმოებს ამსტერდამის "აიაქსის" ეგვიპტელი ნახევარმცველის მიდოს შესაძენად. ამსტერდამელები ფეხბურთელში 12 მილიონ ევროს მოითხოვენ. საინტერესოა, რომ შარშანდელ სეზონში "აიაქსმა" მიდო ესპანურ "სელტაში" გაანათხოვრა იმის გამო, რომ ეგვიპტელმა კლუბის მიმართ ნაკისრი ზოგიერთი ვალდებულება არ შეასრულა.

**ფეხბურთი.** ინგლისური "ლიდს იუნაიტედის" ავსტრალიელი ლეგიონერის, ჰარი კიუელის აგენტმა, ბერნი მანდიჩმა აღიარა, რომ მისი კლიენტი ამჟამად ლონდონის "არსენალში" და "ლივერპულში" გადასვლის პერსპექტივებს განიხილავს. თუმცა, ჯერჯერობით საბოლოოდ არაფერია გადაწყვეტილი. უფრო მეტიც, კიუელი, შეიძლება, "ლიდსშიც" დარჩეს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იორკშირელები ავსტრალიელს ახალ კარგ კონტრაქტს შესთავაზებენ.

**ფეხბურთი.** მილანის "ინტერი"აპირებს, "მანჩესტერ იუნაიტედის" არგენტინელი პლეიმეიკერი, ხუან სებასტიან ვერონი შეიძინოს. მილანური კლუბის პრეზიდენტი, მასიმო მორატი ინგლისელებს 10 მილიონ ევროს სთავაზობს. "ჩვენ, მართლაც, განვიხილავთ ვერონის შეძენის საკითხს. ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და ჩვენს გუნდს ძალიან გამოადგებოდა," - განაცხადა მასიმო მორატიმ.

**ფეხბურთი.** "ინტერი" ვერონის შეძენის პერსპექტივით არ კმაყოფილდება. იტალიური კლუბის სპორტულმა დირექტორმა, მარკო ბრანკამ აღიარა, რომ მილანელები დაინტერესდნენ ლონდონის "არსენალის" ორი ფეხბურთელით: რობერ პირესითა და ფრედერიკ იუნგბერგით. მომავალ კვირაში იტალიელები "არსენალის" ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების დაწყებას აპირებენ. ისინი იმედოვნებენ, რომ ერთ-ერთი მათგანის ხელში ჩაგდებას მაინც მოახერხებენ. ადვილი შესაძლებელია, კომპენსაციის სანაცვლოდ, "ინტერმა" თავისი რომელიმე ფეხბურთელი "არსენალს" დაუთმოს.

**კალათბურთი.** ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის კლუბის, "მილუოკის" მფლობელმა, ჰერბ კოლმა უარი განაცხადა, რომ თავისი კლუბი მაიკლ ჯორდანს მიჰყიდოს. კოლის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებები, მართლაც, მიმდინარეობდა, თუმცა მან ისიც აღნიშნა, რომ ამ მომენტისათვის "მილუოკის" გაყიდვისათვის მზად არ არის.

**ცურვა.** ამერიკელმა მაიკლ ფელპსმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ცურვაში. სანტა-მონიკაში გამართულ ტურნირზე 200 მეტრი მან 1:57:94 წუთში დაფარა. ამ შედეგით მან 22 მეასედი წამით გააუმჯობესა წინა რეკორდი, რომელიც 1994 წელს ფინელმა მოცურავემ, სიევინენმა დაამყარა რომში.

**ოლიმპიზმი.** 2008 წლის ოლიმპიური თამაშები, რომლებიც პეკინში გაიმართება, დათქმულ დროზე ორი კვირით გვიან დაიწყება. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე, რომელიც პრაღაში გაიმართა. ასე რომ, 2008 წლის ოლიმპიადა არა 25 ივლისს, არამედ 8 აგვისტოს აიღებს სტარტს. ასეთი გადაწყვეტილება იმით არის გამოწვეული, რომ ივლისის ბოლოს, ჩინეთის დედაქალაქში ქვიშის ქარიშხლებია მოსალოდნელი. ამას გარდა, ამ დროისათვის ტემპერატურა პეკინში 38 გრადუსსაც კი აღწევს, რაც ნეგატიურ გავლენას იქონიებს სპორტსმენების ჯანმრთელობაზე.

**ალპინიზმი.** ავსტრიის ფედერალური მიწის, ზალცბურგის სამთო-სამაშველო სამსახური იუწყება, რომ ავსტრიის ალპებში ორშაბათს დაიღუპა გერმანელი მთამსვლელი. ტრაგედია ჰოლერსბახის რაიონში, დაახლოებით, ორი ათასი მეტრის სიმაღლეზე მოხდა. 17 წლის გერმანელი კლდეზე მცოცავი თავის მეგობრებთან ერთად დასასვენებლად ჩავიდა ავსტრიის ალპებში. ის კლდიდან მოწყდა და მიღებული ტრავმების შედეგად გარდაიცვალა.

**კრივი.** ლეგენდარული მუჰამედ ალის 25 წლის ქალიშვილი, ლეილა ალი დიდი წარმატებით მიჰყვება მამის კვალს. იმ დღეს, როდესაც ლენოქს ლუისი და ვიტალი კლიჩკო ხვდებოდნენ ერთმანეთს, ბრძოლას ატარებდა ლეილაც. ის ვალერი მეფუდს ხვდებოდა, რომელსაც მერვე რაუნდში ნოკაუტიც აგემა. მუჰამედ ალის ქალიშვილის კარიერაში ეს მე-15 ბრძოლა იყო. აღსანიშნავია, რომ მან ამ 15-ვე ბრძოლაში გაიმარჯვა. კვირას ცნობილი გახდა, რომ 23 აგვისტოს ლეილა ალისა და კრისტი მარტინის ორთაბრძოლა შედგება. ლეილა ალის მსგავსად, კრისტი მარტინიც უძლიერესი ქალი მოკრივეა, ამიტომაც მათი ორთაბრძოლა უდიდეს ინტერესს იწვევს.

**ჰოკეი.** შვედმა თავდამსხმელმა, მიკა ჰანულამ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ნაციონალური ჰოკეის ლიგის კლუბ "მინესოტასთან". ჰოკეისტის პირადი აგენტის განცხადებით, ჰანულას შეს- [illegible]

ფეხბურთი

# "დინამო" ჩემპიონთა ლიგის ჰიმნს უშინაურდება

მიხეილ აბაიშვილი

გერმანიაში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" მეორე ამხანაგური ტესტ-მატჩი გამართა. მისი მეტოქე ამჯერადაც რეგიონალლიგის სამოყვარულო გუნდი, "ნეკერჰაუზენი" იყო. თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ ზოიძეს, ხიზანეიშვილს, დარასელიას და გოგობერიშვილს, რომლებსაც მიკროტრავმები აწუხებთ და შუშაკმა გართულებას თავი აარიდა. თუმცა, ამ გარემოებას გუნდის თამაშის ხარისხზე არ უმოქმედია: "დინამომ" ისევ დიდი ანგარიშით, 18:0 გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ სერბმა თავდამსხმელმა, ლაკიჩმა, რომელიც "დინამოში" სინჯებზე იმყოფება, ამ მატჩში 6 გოლი გაიტანა. ოთხჯერ თავი გამოიჩინა ახალაიამ, 3-3 გოლი გაიტანეს იაშვილმა და ბობოხიძემ, ხოლო მოყვარულების კარი თითოჯერ დალაშქრეს შაშიაშვილმა და ახალბედა სლოვაკმა, კოვაჩმა.

როგორც "დინამოს" პრეს-ატაშემ, ლევან სალუქვაძემ გვაცნობა, მასპინძლებს თამაშის მაღალ დონეზე ორგანიზებისთვის ძალა არ დაუშურებიათ. მატჩს შესაბამისი რეკლამაც ჰქონია და ბილეთებიც გაიყიდა. ერთი ბილეთის ფასი 7 ევრო იყო. თამაშის წინ დაუკრეს ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი და "დინამოს" უსურვეს ამ ჰიმნის დაბედება - ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში მოხვედრა.

"24 საათი" გატყობინებდათ, რომ "დინამოში" ბრაზილიელ და არგენტინელ თავდამსხმელებს ელიან. რუიტში უკვე ჩავიდა არგენტინის ტიტულოვანი გუნდის, "რივერ პლეიტის" ახალგაზრდა ფეხბურთელი, 21 წლის გუერო ფედერიკო რობერტო. ეს ფორვარდი ხსენებულ არგენტინულ გრანდში კი ირიცხება, მაგრამ ამ გუნდის ძირითადი შემადგენლობის



*შუშაკის განკარგულებაში "რივერ პლეიტის" ფეხბურთელია*

მაისურა ჯერ არ მოურგია და დუბლ-შემადგენლობაში თამაშობს. რობერტომ "ნეკერჰაუზენთან" შეცვლაზე ითამაშა, მაგრამ მთელი დღის მგზავრობით გადაღლილმა, თავის გამოჩენა ვერ მოახერხა. მალე "დინამოს" ბრაზილიის "კურიტიბას" ფეხბურთელი, ტეშერიც შეუერთდება.

კიდევ ერთი ბრაზილიელი, ოღონდ "დინამოს" სრულუფლებიანი წევრი, კარლოს და როჩა რუიტში დღეს ჩავა.

დღესვე "დინამო" ავსტრიაში გადაინაცვლებს და მორიგ ტესტ-მატჩს გამართავს. წინა ორისგან განსხვავებით, ამჯერად საქართველოს ჩემპიონს საკმაოდ ძლიერი, პროფესიონალური გუნდი დაუპირისპირდება - ავსტრიის მეორე ბუნდესლიგის "ლუშტენაუ". მოგეხსენებათ, "დინამოს", თუ ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი დაძლია, მეორე რაუნდში სწორედ ავსტრიის ვიცეჩემპიონთან, "გრაცერთან" მოუწევს შეხვედრა; სავარაუდოა, რომ შუშაკის მიერ ერთ-ერთ სპარინგ-პარტნიორად ავსტრიული კლუბის შერჩევა გარკვეულ ქვეტექსტსაც გულისხმობს.

რაც შეეხება "დინამოს" პირველი საკვალიფიკაციო რაუნდის მეტოქეს, ალბანეთის ჩემპიონ "ტირანას", ეს გუნდი უნგრეთში, ბუდაპეშტთან ახლოს, "ფერენცვაროშის" ბაზაზე გადის საწვრთნელ შეკრებას. ლევან სალუქვაძის თქმით, ახლა "ტირანას" ამხანაგური თამაშების კალენდარი დგინდება და მომავალი მეტოქის დასაზვერად ამ შეხვედრებზე აუცილებლად მიავლენენ "დინამოს" წარმომადგენელს.

ჩოგბურთი

WIMBLEDON 2003

# 46 ეისის ამბავი

კახა ფაჩუაშვილი

უიმბლდონს გუშინ აბეზარმა წვიმამ გადაუარა და მერვედფინალური შეხვედრები საათნახევრის დაგვიანებით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ სინოპტიკოსები დარს წინასწარმეტყველებდნენ, წვიმამ თავისი არ დაიშალა და ჩოგბურთის მოყვარულები ქოლგებით ხელში კარგა ხანს უსაქმოდ აყურყუტა. ათასჯერ სთხოვეს ტურნირის ორგანიზატორებს, შეჯიბრება ერთი თვით წინ გადმოვიტანოთ და წვიმის სეზონიც აგვცდებაო, მაგრამ არ ისურვეს კონსერვატორებმა საუკუნოვანი ტრადიციის დარღვევა და თამაშობენ წვიმიან ივნისში.

გუშინდელ დღეს ბევრ კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. უპირველესად კი იმაზე, თუ რამდენად იყო აღიარებული კვარტეტი - აგასი, ფედერერი, როდიკი, ჰენმანი - ფავორიტობის ღირსი. აღმოჩნდა, რომ უიმბლდონზე, ისევე, როგორც ყველა დიდ ტურნირზე, უდავო ფავორიტის მცნება არ არსებობს. კვარტეტმა გუშინ ერთი გამოკვეთილი სახე დაკარგა. ტურნირის მეორე ნომერი ამერიკელი ანდრე აგასი სამშობლოში გაისტუმრეს.

ეს ფანტასტიკაა! - აღნიშნავდნენ აგასი-ფილიპუსისის მატჩის შემდეგ მიმომხილველები. ავსტრალიელმა 46 ეისი ჩაუგდო ბებერ ამერიკელს და თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში მეოთხედ მოიპოვა უიმბლდონის ტურნირის მეოთხედფინალში თამაშის პატივი. ავსტრალიელი თავის დროზე უფრო შორსაც წასულა. 1996 წელს მას ნახევარფინალიც დაუფაშნიკებია და იმედოვნებს, რომ სხვა თუ არაფერი, 7 წლის წინანდელ მიღწევას მაინც გაიმეორებს. "ანდრეს დამარცხება ჩემთვის ნიშნავს, რომ ნებისმიერ მეტოქესთან თამაში შემიძლია," - ეს ფილიპუსის სიტყვებია.

მიმომხილველები კი მიიჩნევენ, რომ აგასის კრიტიკული წლები დაუდგა და 33 წლის ჩოგბურთელმა დროა, პენსიაზე იფიქროს. "აგასის იმდენი ჭკუა არ ეყო, ჩოგბურთი გამარჯვებულს დაეტოვებინა, როგორც ეს პიტ სამპრასმა გააკეთა, - ხუმრობდნენ სპეციალისტები, - და ახლა დიდი ძალისხმევა დაჭირდება იმისთვის, რომ ამერიკის ღია პირველობაზე გამოიჩინოს თავი".

ფაქტი კი ის არის, რომ აგასი ტურნირზე აღარ ითამაშებს. როჟე ფედერერმა, ენდი როდიკმა და ტიმ ჰენმანმა კი მშვიდობიანად გადალახეს მერვედფინალური ზღუდე. თუმცა, გვარიანი ოფლისღვრა მოუხდათ. განსაკუთრებით ბრიტანელთა უკანასკნელ იმედს, ტიმ ჰენმანს გაუჭირდა. ჰენმანმა ოთხ სეტში კი იმარჯვა, მაგრამ ეს ძალიან უცნაურად გააკეთა. მეტოქის მოწოდებებს იგებდა, თავისას კი ნალბანდიანს უთმობდა, მაგრამ მიზანს მაინც მიაღწია. ჰენმანი მეოთხედფინალში გავიდა.

დანაკარგის გარეშე აგრძელებენ ბრძოლას ფავორიტი ქალბატონები. გუშინ ამერიკულ-რუსული დუელი ამერიკელთა უპირობო გამარჯვებით დამთავრდა. დებმა უილიამსებმა და ჯენიფერ კაპრიატიმ უპრობლემოდ დაჩაგრეს დემენტიევა, ზვონარევა და მისკინა, ხოლო კიდევ ერთმა ამერიკელმა - ლინდსი დევენპორტმა, ასევე უპრობლემოდ, ორ სეტში დაამარცხა იაპონელი შინობუ ასაკო. მეოთხედფინალში გავიდნენ ბელგიელები კიმ კლიისტერსი და ჟიუსტინ ენინ-არდენი. პირველმა აი სუგიამა გაანადგურა, მეორემ კი - მარი პირსი.

**უიმბლდონი. ინგლისი. "დიდი სლემის" ტურნირი. ბალახი. შარშანდელი გამარჯვებულები: ვაჟები - ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია), ქალები - სერენა უილიამსი (აშშ). მერვედფინალი.**

**ვაჟები:**
**ენდი როდიკი (აშშ, 5)** - პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი, 12) 6:4, 3:6, 6:3, 6:2
**ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი, 10)** - დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა, 6) 6:2, 6:7 (4:7), 7:5, 6:3
**მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)** - ანდრე აგასი (აშშ, 2) 6:3, 2:6, 6:7 (4:7), 6:3, 6:4
ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) - სებასტიან გრასჟანი (საფრანგეთი, 13) 2:6, 6:4, 6:7 (2:7) თამაში შეწყდა.
**როჟე ფედერერი (შვეიცარია, 4)** - ფელიციანო ლოპესი (ესპანეთი) 7:6 (7:5), 6:4, 6:4
**სიენგ შალკენი (ჰოლანდია, 8)** - რაინერ შუტლერი (გერმანია, 9) 7:5, 6:4, 7:5
**იონას ბიორკმანი (შვედეთი)** - მაქსიმ მირნი (ბელორუსი) 6:4, 3:6, 6:3, 7:6 (7:4)
**ალექსანდერ პოპი (გერმანია)** - ოლივიე როხუსი (ბელგია) 5:7, 6:3, 6:4, 6:2

**ქალები:**
**სერენა უილიამსი (აშშ, 1)** - ელენა დემენტიევა (რუსეთი, 15) 6:2, 6:2
**კიმ კლიისტერსი (ბელგია, 2)** - აი სუგიამა (იაპონია, 13) 6:3, 6:2
**ვინუს უილიამსი (აშშ, 4)** - ვერა ზვონარევა (რუსეთი, 16) 6:1, 6:3
**ლინდსი დევენპორტი (აშშ, 5)** - შინობუ ასაკო (იაპონია) 6:4, 6:1
**ჟიუსტინ ენინი (ბელგია, 3)** - მარი პირსი (საფრანგეთი) 6:3, 6:3
**ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 8)** - ანასტასია მისკინა (რუსეთი, 10) 6:2, 6:3
**სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი, 33)** - მარია შარაპოვა (რუსეთი) 6:1, 2:6, 7:5
**სილვია ფარინა-ელია (იტალია, 27)** - პაოლა სუარესი (არგენტინა) 7:5, 7:6 (7:3)

## TV-სპორტი

**სამშაბათი. 1 ივლისი**

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 "როსტელკომის თასი". რუსეთის ნაკრები – ლეგიონერთა ნაკრები. პირდაპირი ტრანსლაცია
15:15 ფუტზალი
16:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ლივერპული"
18:00 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეორე საკვალიფიკაციო წრის საპასუხო მატჩი. "მოლდე" - "ცსკა"
19:40 თავისუფალი დარტყმა
19:55 [illegible]
20:00 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ჰამბურგი" - "ვერდერი"
21:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. "ფიორენტინა" - "არსენალი"
23:30 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "რომა" - "იუვენტუსი"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 16:40 პრეს-ცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
11:45 ჩოგბურთი. უიმბლდონი
14:40 სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი ლათინოამერიკულ ცეკვებში. შვეიცარია
15:40 ცხენოსნობა
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ქალები. მეოთხედფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ცურვა. საერთაშორისო ტურნირი. "მოსკოვის თასი"

**EUROSPORT**
11:30 თავგადასავალი. ქვიშის მარათონი მაროკოში
12:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები, არგენტინა
13:00 მძლეოსნობა. გრან-პრი II ჩეხეთში
14:30 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
15:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური გერმანიაში
16:00 მძლეოსნობა. აშშ-ის ჩემპიონატი
17:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. აშშ
19:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა. გერმანიაში
19:30 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
21:00 მძლეოსნობა. ვინ ვინ არის
21:30 მძლეოსნობა. საბერძნეთის სუპერ გრან-პრი
22:45 მძლეოსნობა. სპრინტერები
23:00 მძლეოსნობა. შვეიცარიის სუპერ გრან-პრი
01:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
01:45 კრივი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
03:00 ახალი ამბები
03:15 [illegible]
03:45 მოტორსპორტი
04:15 ახალი ამბები

## ნაკუწები

ნინო I



### ხულიო იგლესიასი ქერა შვილიშვილებზე ოცნებობს

თავიდან ყველაფერი ლამაზ ზღაპარს ჰგავდა - იყო და არა იყო რა, იყო ერთი ოქროსფერნაწნავიანი, ცისფერთვალება პატარა გოგონა, რომელიც უკვე ხუთი წლისა ოცნებობდა ჩოგბურთის თამაშზე. მისი მშობლები, ალა და სერგეი კურნიკოვები, დიდად გაოცებულნი კი იყვნენ შვილის ასეთი ახირებით, მაგრამ გული მაინც არ დასწყვიტეს პატარას. ტელევიზორი გაყიდეს და 1986 წლის შობა ღამეს ოქროსფერთმიან გოგონას ჩოგანი აჩუქეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანა კურნიკოვას დედ-მამას ტელევიზორის გაყიდვა ნამდვილად არ უნანია. სულ რაღაც ხუთ-ექვს წელიწადში მათი გოგონა იმდენად ცნობილი გახდა, რომ ოჯახს თავად ინახავდა და რამდენ ტელევიზორსაც ისურვებდა, იმდენს იყიდდა. მალე ანა ამერიკაში წავიდა და ცნობილ მწვრთნელთან, ნიკ ბოლეტიერისთან დაიწყო ვარჯიში. 14 წლისამ რუსეთის ფედერაციის თასის ტურნირში მიიღო მონაწილეობა და შეჯიბრის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა. 15 წლისა ამერიკის ღია ტურნირის ფინალში გავიდა და მსოფლიოს მაშინდელ ნომერ პირველ ჩოგანთან, გერმანელ შტეფი გრაფთან დამარცხდა. ერთი წლის შემდეგ 16 წლის ანა ორჯერ გაამწარა შვეიცარიელმა მარტინა ჰინგისმა- ჯერ ფრანგულ როლან გაროსზე მოუგო, შემდეგ კი ინგლისური უიმბლდონის ნახევარფინალიდან გამოაგდო. 17 წლისამ პირველი ტიტული მოიპოვა - მიჩიგანის ITF –ს ტურნირის გამარჯვებული გახდა. 1997 წელს კი მონიკა სელეშთან ერთად ტოკიოს ტურნირი მოიგო წყვილთა თანრიგში. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ანას კორტზე რაიმე შთამბეჭდავი წარმატებისთვის მეტად აღარ მიუღწევია.

როცა 15 წლის გოგონა ჯერ შტეფი გრაფმა, შემდეგ კი მარტინა ჰინგისმა და ვინუს ულიამსმა დაამარცხეს, ეს საგანგაშოდ არავის ჩაუთვლია. მერე რა, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, გაიზრდება და უფრო უკეთესი ჩოგბურთელი გახდებაო, - ფიქრობდნენ სპეციალისტები. მაგრამ, ყველაფერი პირიქით მოხდა. რაც უფრო მეტად პოპულარული ხდებოდა ანა კურნიკოვა, როგორც ჩოგბურთის "სექს-სიმბოლო", მით უფრო მეტად უარესდებოდა მისი თამაში. წარუმატებლობა ანას განუყრელად სდევდა თან. მალე ამ ყველაფერს ზურგის ქრონიკული ტრავმაც დაერთო და, ის იყო, ლამაზი ზღაპარი სევდიანად უნდა დასრულებულიყო, რომ უცებ....

ანას "სექს-ბომბას" უწოდებდნენ და, რა გასაკვირია, რომ მისით არაერთი ცნობილი პიროვნება იყო მოხიბლული - რუსი ჰოკეისტები სერგეი ფიოდოროვი და პაველ ბურე, ავსტრალიელი ჩოგბურთელი მარკ ფილიპუსისი, მისი ეკვადორელი კოლეგა ნიკოლას ლაპენტი თუ ანას თანამემამულე მარატ საფინი. თურმე ფიოდოროვზე ანა დაქორწინებულიც კი ყოფილა, რაც რუსმა ჰოკეისტმა მხოლოდ ახლაღა გათქვა; აქამდე რატომღაც თევზივით დუმდა. 2002 წლის თებერვლიდან ანა ცნობილ ესპანელ მომღერალს, ენრიკე იგლესიასს დაუახლოვდა.

მათ ერთმანეთი ენრიკეს კლიპის გადაღებაზე გაიცნეს. სიმღერა ისეთი იყო, რომ ენრიკეს გმირი ანას მიერ განსახიერებულ ქალზე გიჟდებოდა და ხვევნა-კოცნით ახრჩობდა. "ლატინო ლოვერად" წოდებულმა ენრიკემ და ჩოგბურთის აღიარებულმა "სექს-სიმბოლომ" ისეთი ბობოქარი კლიპი გადაიღეს, რომ მაშინვე მითქმა-მოთქმა დაიწყო, - შეუძლებელია, ამ ორს შორის არაფერი იყოსო. როგორც გაირკვა, პარტნიორებს, მართლაც, შეყვარებიათ ერთმანეთი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე ფილმების დასრულების შემდეგ. ამ პატარა კლიპმა ანა და ენრიკე დააახლოვა და ანას სასიყვარულო თავგადასავალთა სიას კიდევ ერთი ცნობილი მამაკაცი მიემატა.

თავიდან ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ენრიკე თავისი მექალთანე მამის ღირსეული მემკვიდრე აღმოჩნდა. ხულიო იგლესიასს ხომ თავადაც არ ახსოვს, რამდენ ქალთან ჰქონდა ურთიერთობა. აბა, რა მოსატანია ამ სიმპათიურ ესპანელთან მისი თანამემამულე დონ ხუან დე მარკოს "სულ რაღაც" 1003 ქალი? თუ დონ ჟუანს, ძირითადად, იტალიელ, ფრანგ და ესპანელ ლამაზმანებთან ჰქონდა საქმე, ხულიო იგლესიასი მსოფლიოს მასშტაბით "მოღვაწეობდა." ენრიკე სულაც არ აპირებდა, მამას ჩამორჩენოდა. მართალია, ახალგაზრდა მომღერალი ყოველთვის ამტკიცებდა, - მამაჩემთან საერთო არაფერი მაქვს და ძალიან გთხოვთ, მას ნუ მადარებთო, - მაგრამ უფროსი იგლესიასის გავლენისგან თავის დაღწევა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ენრიკე არ დასჯერდა ანას სიყვარულს და, პარალელურად, სხვებთანაც სცადა ურთიერთობის გაბმა, რაც ანამ მეტად მტკივნეულად გადაიტანა. ერთხელ ენრიკეს კონცერტზე ნასვამი მივიდა და სახალხოდ მოუწყო სკანდალი თავის "ჩიკო ლატინოს". ამის შემდეგ საკვირველი სულაც არ იქნებოდა, თუ ერთმანეთს დასცილდებოდნენ. ავსტრალიელი მომღერლის, ქაილი მინოუგის უმცროსი და, დენი მინოუგი პირდაპირ შეყვარებული იყო ენრიკეზე და საჯაროდ აცხადებდა, - როდის შეეშვება ენრიკე ამ წყეულ რუსს, ძალიან მინდა მასთან დაახლოება, მისნაირი საოცარი კოცნა არავინ იცისო. ყველა ამ სპორტულ-მუსიკალური წყვილის გაყრის მოლოდინში იყო, მაგრამ პირიქით მოხდა: ანა და ენრიკე დაქორწინდნენ. მთელი მსოფლიო გაოგნდა...

ქორწილმა უჩუმრად ჩაიარა. ჟურნალისტებმა მხოლოდ იმის დადგენა მოახერხეს, რომ ანამ და ენრიკემ ივნისის დასაწყისში დაიწერეს ჯვარი, კარიბის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე. ამის შემდეგ ორივე გაქრა ასპარეზიდან. ყველას აინტერესებდა, ითამაშებდა თუ არა ანა უიმბლდონზე, მაგრამ რუსმა ჩოგბურთელმა ზურგის ტრავმა მოიმიზეზა და კორტზე არ გავიდა. მის ნაცვლად, ჩოგბურთის მოყვარულებმა მარია შარაპოვა მოინიშნეს, რომელსაც ყველა "ახალ ანას" ეძახის. შარაპოვა ჯერჯერობით ამართლებს გულშემატკივართა იმედებს. მესამე წრეში მან მე-18 ჩოგანს, იუგოსლავ ელენა დოკიჩს მოუგო და მერვედფინალში გავიდა. "ახალი ანა" წინ მიიწევს, "ძველი" კი, როგორც ირკვევა, კიდევ დიდხანს ვერ შეძლებს კორტზე დაბრუნებას.

ცოტა ხნის წინ ხულიო იგლესიასმა ინგლისური გაზეთის, "სანის" კორესპონდეტს მისცა ინტერვიუ. ენრიკეს მამამ ხალისით ისაუბრა ახალი რძლის შესახებ და იმედი გამოთქვა, რომ მალე ქერათმიანი შვილიშვილი ეყოლებოდა. "ბედნიერი ვარ, რომ ისინი დაქორწინდნენ, რადგან ვიცი, რომ ანა და ენრიკე ძალიან კარგად გრძნობენ თავს ერთად. მალე, ალბათ, რუსი შვილიშვილებიც მეყოლება, ოქროსფერთმიანი პატარები,"- ღიმილით დასძინა უფროსმა იგლესიასმა და მისი ეს სიტყვები უმალ აიტაცა ყველა ბულვარულმა გაზეთმა. "ნუთუ კურნიკოვა ფეხმძიმედაა? " "როდის დაიბადება პატარა ანა?"- დაახლოებით, ამდაგვარი მყვირალა სათაურებით გადაჭრელდა "ბილდი", "მირორი" თუ მათი მსგავსი გაზეთები.

ჯერ არავინ იცის, როდის ეყოლება ხულიო იგლესიასს ოქროსფერთმიანი შვილიშვილი. [illegible]



# ბონაპარტების კოლექციიდან

## თბილისში "დადიანების სასახლის" უნიკალური გრავიურები გამოფინეს



ინტერესი ბონაპარტეს გრავიურებისადმი მაღალია

ვერა ნეფარიძე

გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის ე.წ. "ფრანგულ დარბაზში" ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში დაცული რესტავრირებული გრავიურები გამოფინეს. დარბაზში წარმოდგენლი ოცი ნამუშევარი ნაპოლეონ III-სა და დედოფალ ჟოზეფინას კუთვნილი კოლექციის საკმაოდ მცირე ნაწილია. ეს გრავიურები "ახალი მემარჯვენეებისა" და კულტურის სამინისტროს ერთობლივი მხარდაჭერის წყალობით გადაურჩა განადგურებას. სარესტავრაციოა დარჩენილი 130 უნიკალური ნამუშევარი.

თბილისელებს ახსოვთ შარშან ეროვნულ გალერეაში მოწყობილი გამოფენა, სადაც დედაქალაქის მცხოვრებლები ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ექსპონატებს გაეცნენ. ზუგდიდის მუზეუმის ერთკვირიანი სტუმრობა თბილისში, რასაკვირველია, შეუძლებელი იქნებოდა ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე. ისევე როგორც შარშან, ერთი წლის შემდეგაც დადიანების სასახლის უნიკალურ სიძველეებზე "ახალმა მემარჯვენეებმა" იზრუნეს. ამჯერად მათ კულტურის სამინისტროსთან ერთად დროული რესტავრაციით უშველეს სასახლეში დაცულ გრავიურებს. თუმცა, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ეს მხოლოდ დასახული მიზნის მცირედი ნაწილია.

ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის კოლექციაში, ძირითადად, XVIII-XIX საუკუნის სულ 150 გრავიურა ინახება. კოლექციაში მრავლადაა ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ნამუშევრები, რომელთა შეგროვება, როგორც ცნობილია, დედოფალ ჟოზეფინასა და ნაპოლეონის მემკვიდრეებს დიდად იტაცებდათ. ამ სერიაში ორიგინალურ მხატვრულ ნამუშევრებთან ერთად არის ცნობილ მხატვართა რეპროდუქციებიც. როგორც შარშან დაარსებული "დადიანების სასახლეთა გადარჩენის ფონდის" პრეზიდენტმა, გიორგი კალანდიამ გვითხრა, გრავიურების უმრავლესობა სრული განადგურების საშიშროების წინაშე დგას. მათი გადარჩენის მიზნით, ფონდის, კულტურის სამინისტროსა და შესაბამისი სპეციალისტების მიერ შეირჩა ოცდათხუთმეტი გრავიურა, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებდა შველას. ამ ნამუშევრებს დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკურ ლაბორატორიაში რესტავრაცია უნდა ჩატარებოდა. თუმცა, როგორც ორგანიზატორები ამბობენ, გაურკვეველი მიზეზის გამო, დადიანების სასახლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი უარს ამბობს დარჩენილი თხუთმეტი ნამუშევრის თბილისში გამოგზავნაზე.

გუშინ ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გრავიურების რესტავრაციის პროექტის გამოფენა-პრეზენტაცია გაიმართა. წარმოდგენილი ოცი გრავიურა ნაპოლეონ პირველისა და მისი მეუღლის ცხოვრებას ასახავს. ეს გრავიურები უნიკალურია, რადგანაც როგორც გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, მათი ასლები არ არსებობს. ამ გრავიურებზე წარმოდგენილნი არიან საფრანგეთის უმაღლესი წრის წარმომადგენლები, მხედართმთავრები. ისინი წლების განმავლობაში ნაპოლეონ პირველსა და ჟოზეფინას კაბინეტებში ეკიდათ; რამდენიმე მათგანზე ახლაცაა შემორჩენილი ნაპოლეონის ხელით მიწერილი სასიყვარულო ტექსტები.

პროექტის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ მუზეუმში დაცული გრავიურების კოლექციის დარჩენილ ნაწილსაც გაუკეთებენ რესტავრაციას. როგორც ცნობილია, "დადიანების სასახლის" კოლექციაში ცნობილი ოსტატების: სამუელ ჯესის, იგნაციო პოვინის, ანტონიო ცეკინოს, ბრანდ მიულერისა და სხვათა ორიგინალური და ცნობილ მხატვართა ნამუშევრების მიხედვით შექმნილი გრავიურები ინახება.

# კარგი ქურდი მგლების კომპანიიდან

## ნილ ჯორდანი თბილისში



ნილ ჯორდანი - მწერალმა კალამს კამერა არჩია

თამარ ბაბუაძე

როგორც უკვე გაუწყეთ, თბილისს ეწვევა ჰოლივუდური ფილმის "კარგი ქურდის" შემოქმედებითი ჯგუფი. მათ საქართველო ნუცა კუხიანიძის გამო გაახსენდათ. ეს გოგონა გახლავთ მსახიობი, რომელიც ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს. მას პარტნიორობას ნიკ ნოლტი უწევს. ნოლტისთან ერთად თბილისში ჩამოვა ფილმის რეჟისორი ნილ ჯორდანიც. შესაძლოა ეს სახელი და გვარი ბევრს არაფერს გეუბნებოდეთ, მაგრამ გვერწმუნეთ, რომ ჯორდანს "შორიდან", მისი ფილმების წყალობით უკვე კარგად იცნობთ. დასაწყისისთვის კი გეტყვით, რომ ეს რეჟისორი ვენეციური კინოფესტივალის მთავარ პრიზს, "ოქროს ლომსაც" ფლობს, 1996 წლის ფილმისთვის "მაიქლ ქოლინსი" (მთავარ როლს ლიამ ნისონი ასრულებს). თუ რატომ გააცოცხლა რეჟისორმა დიდ ეკრანზე "ირას" ერთ-ერთი დამფუძნებლის მოღვაწეობა, გასაგები გახდება მას შემდეგ, რაც გეტყვით, რომ ნილ ჯორდანი ირლანდიელია; თანაც, ერთგული ირლანდიელი. მიუხედავად იმისა, რომ ის ჰოლივუდის "სამეფოს კარზე" მიღებული კაცი და რამდენიმე ამერიკული ბლოკბასტერის ავტორიცაა, ჯორდანი დღემდე მშობლიურ დუბლინში ცხოვრობს და კინოსტუდია "მგლების კომპანიას" უძღვება.

თავისი დიდი წინაპრებისგან განსხვავებით, მას ირლანდია დიდი ხნით არასდროს დაუტოვებია. კარიერაც, როგორც მწერალმა იქვე დაიწყო. 24 წლის იყო, როდესაც პროფესიული ორგანიზაცია – "ირლანდიელ მწერალთა კოოპერატივი" დააფუძნა. 26 წლის ასაკში კი ლიტერატურულ კრიტიკოსთა ყურადღებაც მიიქცია და მოთხრობათა კრებულისთვის "ღამე ტუნისში", გაზეთ "გარდიანის" ძალზე პრესტიჟული ჯილდო მიიღო - პრიზი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებისთვის. ეს უკვე დიდი აღიარება იყო, რომელსაც თან წამახალისებელი ჯილდოც – 10 ათასი გირვანქა სტერლინგიც მოჰყვა; და იმედმიცემულმა ახალბედა მწერალმაც დიდი ენთუზიაზმით შექმნა სამი რომანი, რომლებიც ათამდე ენაზეა თარგმნილი.

კინოში პირველად 1980 წელს მოხვდა, როდესაც ცნობილმა ინგლისელმა რეჟისორმა ჯონ ბურმენმა გახმაურებული ფილმისთვის "ექსკალიბური" ის სცენარზე მუშაობის პროცესში კონსულტანტად დაიქირავა. ეს სრულიად "მეორეხარისხოვანი როლი", მთელ გადასაღებ მოედანზე, საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ჯორდანს გვერდზე გადაედო კალამი და რეჟისორის კამერისთვის ხელი წლების განმავლობაში არ გაეშვა.

მისი და კამერის მეგობრობა კი 1982 წელს დაიწყო, როდესაც ეკრანზე გამოვიდა ჯორდანის, როგორც რეჟისორისა და სცენარისტის სადებიუტო სურათი "ანგელოზი". ფილმმა, რომელშიც მოქმედება ჩრდილოეთ ირლანდიაში ხდება, ჯორდანს დამაიმედებელი პრიზი – "ლონდონ ივნინგ სტანდარტის" ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა რეჟისორის ჯილდო მოუტანა.

და "ივნინგ სტანდარტი" არც შემცდარა. ჯორდანი, მართლაც, აღმოჩნდა პერსპექტიული, რაც თავისი შემდეგი ფილმით "მგლების კომპანიითაც" (1984 წ.) დაადასტურა. ეს "წითელქუდას" ფემინისტურ-ფროიდისტული გადამღერება, რომელიც უფროსი ასაკისა და თან გამძლე ნერვების მაყურებლისათვის იყო განკუთვნილი, ლონდონის კრიტიკოსთა საბჭოს პრიზით დაჯილდოვდა – საუკეთესო ფილმისა და რეჟისურისათვის.

საერთაშორისო აღიარება ჯორდანს მოუტანა მრავალ პრესტიჟულ ჯილდოზე ნომინირებულმა ფილმმა "მონა ლიზამ" (1986), რომლის ერთ-ერთი პროდიუსერიც, სხვათა შორის, ჯორჯ ჰარისონიც გახლდათ. მრავალი ნომინაციიდან კი რეალურად მხოლოდ მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა ბობ ჰოსკინსმა გაიმარჯვა. მან, როგორც საუკეთესო მამაკაცმა მსახიობმა ჯილდოები მოიპოვა კანშიც და "ოქროს გლობუსზეც".

ამგვარმა მასშტაბურმა საერთაშორისო ტრიუმფმა ჯორდანი ბუნებრივად მიიყვანა ჰოლივუდის კარიბჭემდე. ამერიკაში მან რამდენიმე ფილმი გადაიღო. მათ, თითქმის ყველას, ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს: "ჩვენ ანგელოზები არა ვართ" (1989 წ. რობერთ დე ნირო, შონ პენი და დემი მური), "ინტერვიუ ვამპირთან" (1994 წ. თომ კრუზი, ბრედ პიტი, ანტონიო ბანდერასი), "რომანის დასასრული" (1999 წ. გრემ გრინის რომანის მიხედვით; რალფ ფაინსი, ჯულიენ მური, სტივენ რი – ჯორდანის საყვარელი მსახიობი)...

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად ჰოლივუდთან აქტიური თანამშრომლობისა, ჯორდანი შინაგანად ყოველთვის ირლანდიასთან არის დაკავშირებული. ამიტომაც არის, რომ მისი ფილმის გმირები ხშირად არიან ირლანდიელები ან სულაც მოქმედება ირლანდიაში ხდება. მაგალითად: კომედია High Spirits (1988 წ. მეორე დიდი ირლანდიელის, პიტერ ო`ტულის და დერილ ჰანას მონაწილეობით), ირლანდიაში გადაღებული "სასწაული" (1991 წ.), "ირას" პრობლემაზე შექმნილი და ექვს "ოსკარზე" ნომინირებული The Crying Game (1992 წ. სტივენ რი; ჯორდანმა "ოსკარი" საუკეთესო სცენარის კატეგორიაში მოიპოვა), "ოქროს ლომით" დაჯილდოებული "ირას" დამფუძნებელ გმირზე შექმნილი "მაიქლ კოლინსი" (1996 წ.), ირლანდიელ ბიჭუნაზე გადაღებული ფსიქოლოგიური ფილმი The Butcher Boy (1998 წ. პეტ მაკაბის რომანის ეკრანიზაცია; სტივენ რისა და შინედ ო`კონორის მონაწილეობით. ფილმს ისეთი გამოხმაურება მოჰყვა, რომ მას "მექანიკურ ფორთოხალსაც" კი ადარებდნენ თავისი მნიშვნელობით. ჯორდანს კი, როგორც საუკეთესო რეჟისორს ბერლინის ფესტივალზე "ვერცხლის დათვი" გადასცეს), სემუელ ბეკეტის პიესის 14-წუთიანი კინო-ეკრანიზაცია (2000 წ. ჯულიენ მურის მონაწილეობით; პრემიერა კანის ფესტივალზე შედგა).

დაბოლოს, 2002 წლის ტორონტოს კინოფესტივალზე პირველად უჩვენეს ჯორდანის ბოლო ფილმი "კარგი ქურდი" (ნიკ ნოლტი, ნუცა კუხიანიძე და ეპიზოდურ როლში ემირ კუსტურიცა). ამ ფილმზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. უბრალოდ, მოდით, ვნახოთ, როგორ შეაფასა ჟან-პიერ მელვილის Bob le Flambeur-ის ჯორდანისეული რიმეიქი "ნიუ იორკ ტაიმსის" მიმომხილველმა: "მელვილის ბობი მწუხარე მოჩვენებას გავდა, რომელიც ეპიზოდებში განწირულივით დაფარფატებდა... ჯორდანის ვარიანტი კი სიცოცხლით, გამომსხველობით და 50-იანი წლების ეპოქის ელეგანტურობითაა სავსე. ეს იმ ხანის მუსიკის გამოყენებითაც მიიღწევა, მაგალითად, ჯონ კოლტრეინის Blue Trane გავიხსენოთ... "კარგი ქურდი" ჯორდანის პირველი ფილმია, რომელსაც უფრო საქსოფონის როლი აკისრია, ვიდრე ჩელოსი".

# ანტი-ჰოლივუდელი და ჰოლივუდის ლეგენდა





ქეთრინ ჰეპბერნი - სილამაზე საზღვრებს გარეშე

პირველი გვერდიდან

96 წლის ასაკში მსახიობი საკუთარ სახლში, მშობლიური შტატის კონექტიკუტის პატარა ქალაქ ოლდ სეიბრუკში კვირას გარდაიცვალა. ის წლების განმავლობაში იტანჯებოდა სხვადასხვა სენით, მათ შორის პარკინსონითაც.

ქეთრინ ჰეპბერნი ამბობდა: "სამჯერ უფრო მეტის გაკეთება შემეძლო, მაგრამ არ გავაკეთე, რადგან ჩემს პოტენციას რეალურად ვერ ვაფასებდი. ეს საშინელებაა". თუმცა, იმისთვის, რომ ჰოლივუდის ლეგენდად ეღიარებინათ, ჰეპბერნს თავისი რეალური ბიოგრაფიაც ეყო. ის წლების განმავლობაში ფლობდა რეკორდს – "ოსკარის" ნომინაციზე 12-ჯერ იყო წარდგენილი, აქედან მოპოვებული ჰქონდა 4 ჯილდო (ფილმებისთვის: Morning Glory, 1933 წ. "გამოიცანი, ვინ მოდის სადილად", 1967 წ. "ლომი ზამთარში", 1968 წ. და "ოქროს ტბის ნაპირას" 1981 წ.). ჰეპბერნის რეკორდი მხოლოდ წელს მოიხსნა – მერილ სტრიპი გახდა "ოსკარის" 13-გზის ნომინანტი მსახიობი, ჯეკ ნიკოლსონი კი – 12-გზის. ამერიკის ფილმის ინსტიტუტმა ჰეპბერნს პირველი ადგილი არგუნა კინოს ლეგენდების 50-კაციან ნუსხაშიც. ასეთი პატივი კი ბევრ ქალ მსახიობს არ ღირსებია.

თუმცა, იყო რაღაც პარადოქსული მისი მოღვაწეობის ასე ხმამაღალ შეფასებაში – ჰეპბერნს ლეგენდად აღიარებდა ის ინდუსტრია, რომელსაც თვითონ მთელი ცხოვრების განმავლობაში ებრძოდა, დასცინოდა და რომლის ფოტო-ობიექტივსაც ემალებოდა. ეს ნამდვილი ნიუ ინგლენდელი ქალბატონი ვერაფრით ერგებოდა ჰოლივუდის ყალიბს. აკრიტიკებდა მის ფასეულობებს და ცხოვრების წესს. არ თამაშობდა არც "ვარსკვლავის თამაშს" – იცვამდა უბრალოდ, დადიოდა უმაკიაჟოდ, არ არიგებდა ავტოგრაფებს და არ თანხმდებოდა ინტერვიუებზე. ერთი სიტყვით, არ ღალატობდა თავის პრინციპებს. თუმცა, ამ პრინციპულობამ მას ერთი უმნიშვნელოვანესი როლი დააკარგვინა: "ქარწაღებულნის" სინჯებზე ჰეპბერნს ახალგაზრდა მსახიობი, ვივიენ ლი არჩიეს...

ასეთი სიჯიუტე მას დედისგან გამოჰყვა. ქალბატონი ჰეპბერნი ხომ სუფრაჟისტების მოძრაობის აქტიური წევრი იყო და თავის შვილსაც განსხვავებული მორალით ზრდიდა. ასე ჩამოყალიბდა ქეთრინი ჰოლივუდური სტილის ფემინისტად. ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში გაბედულად ირგებდა ტანზე მამაკაცის ფართობოლოიან შარვალს, თმას დაუდევრად იწევდა კეფაზე და ყოველგვარი მცდელობის გარეშე ყალიბდებოდა მოდის კერპადაც. ქალები მას აღმერთებდნენ კიდევ ერთი მიზეზის გამოც: ჰეპბერნს, რომელიც მხოლოდ ცოტა ხნით იყო გათხოვილი, წლების განმავლობაში ჰქონდა რომანი მსახიობ სპენსერ ტრეისისთან. ისინი ერთად მრავალ ფილმში თამაშობდნენ. ბოლო სურათი "გამოიცანი, ვინ მოდის სადილად" მათ 1967 წელს გადაიღეს. რამდენიმე კვირაში სპენსერი გარდაიცვალა, ქეთრინმა კი "ოსკარი" მიიღო...

ქეთრინ ჰეპბერნმა ანდერძით დაიბარა, რომ არ გაემართათ პანაშვიდი და დაკრძალვის ცერემონიალსაც მხოლოდ ძალიან ახლობლები დასწრებოდნენ. ანდერძი შეასრულეს. დღეს საღამოს კი ქეთრინ ჰეპბერნს მდუმარედ მიაგებენ პატივს ბროდვეიზე, სადაც რამდენიმე ხნით სინათლეს ჩააქრობენ.

# პატარა მისს მსოფლიო საქართველოდან

ნათია ნინიძე

სილამაზის კონკურსებში მონაწილეობა მხოლოდ მოზრდილი გოგონების გატაცება აღარაა. ამ უჩვეულო მარათონში უკვე ბავშვებიც აღმოჩნდნენ ჩათრეულები. სხვადასხვა ქვეყნებში იმართება ადგილობრივი თუ საერთაშორისო კონკურსები. თბილისელმა ათი წლის სალომე ოსეფაშვილმა უკვე მოასწრო, ყოფილიყო რამდენიმე ასეთი კონკურსის ლაურეატი. ამ ზაფხულს იგი აპირებს, მეორედ მოიპოვოს საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულის ტიტული.

20 ივნისს კლუბ "ჯოიში" კონკურსი "მის თბილისი 2003" გაიმართა. ამ კონკურსის ორგანიზატორი იყო შპს "პრომოუშენ ცენტრი", რომელიც უკვე შვიდი წელიწადია მართავს მსგავს ღონისძიებებს და მსოფლიო სილამაზის კონკურსებისგან ლიცენზია აქვს მიღებული. ამ ცენტრის მიერ კვლავ გამოვლინდა პატარა "მის თბილისი 2003" – სალომე ოსეფაშვილი. 10 წლის სალომემ (სწავლობს 55-ე სკოლის მე-5 კლასში) უკვე მეორედ მოიპოვა ეს ტიტული. პირველად, 2001 წელს, როდესაც კონკურსზე "პატარა მის საქართველო" გაიმარჯვა. ამ გამარჯვების შემდეგ მან მონაწილეობა მიიღო ოდესაში გამართულ კონკურსზე. სალომემ გაიმარჯვა ნომინაციაში – "პატარა ტელე-ვარსკვლავი" (Little TV star). ამ კონკურსში მან დაიმსახურა გრან-პრი და დააჯილდოეს სამახსოვრო დიპლომით, ლენტითა და ფასიანი საჩუქრით.

სილამაზის კონკურსებში მონაწილეობის გარდა, სალომე ოსეფაშვილი მუსიკალური სცენითაც არის დაინტერესებული. შარშან ზაფხულში მან ჩაწერა სიმღერა და გადაიღო კლიპი, რომელიც დროგამოშვებით გადიოდა საქართველოს ტელევიზიის ეთერში. ახლა სალომე კვლავ სილამაზის კონკურსზე გასასვლელად ემზადება. ის ზაფხულის ბოლოს სილამაზისა და ტალანტების მსოფლიო კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად გაემზგავრება. და, რაც მთავარია, პატარა სალომე დარწმუნებულია, რომ სამშობლოში აუცილებლად გამარჯვებული დაბრუნდება.



სალომესთვის მსოფლიო დიდი უკვე აღარ არის



კადრი ფილმიდან "კარგი ქურდი". ნუცა კუხიანიძე და ნიკ ნოლტი

# დაწერილი წიგნი "პარნასში"

თამარ სუხიშვილი

წიგნის მაღაზია "პარნასის" გუშინდელი სტუმარი მხატვარი **კახა დევდარიანი** იყო, რომელიც მისთვის უკვე ჩვეულ, მწერლის ამპლუაში მოგვევლინა და მოთხრობების ახალი კრებული შემოგვთავაზა. კახა დევდარიანი ადრეული ასაკიდან წერს. მისი ნოველები ჟურნალ "ნობათში" იბეჭდებოდა. მერე გამოსცა პირველი წიგნი "თოვლში გამოჭრილი სარკმელი", მეორე წიგნს "გზა დიდ დროში" ერქვა. ამჯერად ასოციაცია "ქართულმა წიგნმა" კახა დევდარიანის მოთხრობების ახალი კრებული დასტამბა - "სევდა ჩემი ბავშვობისა და სევდა მესაყვირისა". ამ წიგნში მწერლის 12 მოთხრობაა თავმოყრილი. აქედან პირველი მოთხრობა ავტობიოგრაფიულია (თუმცა, სხვა მოთხრობების გმირებიც რაღაცით ჰგავანან მწერალს), დანარჩენი - ზოგი შორეული წარსულის ეპიზოდების გახსენებაა, ზოგიც აწმყოზე გვიამბობს, ზოგიც რაზე და ზოგიც კიდევ რაზე.

"ეს არ არის ერთ დღეში დაწერილი წიგნი, აქ არის ჩემი ბავშვობა, სიყრმე, წარსული, მომავალი, წინაპრები... შევეცადე, რომ მკითხველს, რომელიც ამ წიგნს გადაშლის, რაღაცა სითბო და სევდა გაყვეს; არა მხოლოდ სიუჟეტის, არამედ ნაწერის, რიტმის სითბო," - გვეუბნება ავტორი.

კახა დევდარიანის მოთხრობებში დიდი სევდაა, მაგრამ მწერლის თქმით, განწყობა ოპტიმისტურია: "სევდა ქარვაა, ის ძვირფასი თვალი, შემოქმედებას რომ ალამაზებს. სევდის გარეშე არც ომი არსებობს, არც მშვიდობა, არც სიყვარული და არც სიძულვილი..."

მწერლისთვის დროს მნიშვნელობა არა აქვს. დრო ცუდია თუ კარგი, შემოქმედი უცვლელია, და უცვლელია შემოქმედების მიზანიც - ბუნების, ადამიანის და, საერთოდ, მთელი სამყაროს სილამაზის ძიება, - ასე ფიქრობს მწერალი და დასძენს, - სწორედ ეს სილამაზეა ხვალინდელი დღის არსებობის გარანტიო.

კახა დევდარიანის ნაწერებშიც და საუბარშიც მხატვრის ხედვა იგრძნობა. "მე ვთვლი, რომ მაქვს უფლება ერთი პატარა ფერი შევიტანო იმ პალიტრაში, ქართული მწერლობა რომ ჰქვია. მინდა, მკითხველს შევახსენო, რომ არსებობს სითბო, სიყვარული და სილამაზე. მირჩევნია ლამაზი წამოვწიო წინა პლანზე, მინდა, რომ ცუდი ამბავიც ლამაზად აღვწერო. მწერალი სიცოცხლისკენ, მზისკენ, კაშკაშა ფერებისკენ უნდა ისწრაფვოდეს. ხელოვანის დანიშნულება სიკეთის შექმნაა."

მხატვრობაში არის გამოთქმა - დაწერილი ტილო, და ეს წიგნიც დაწერილი წიგნია, - ასე წარმოგვიდგენს თავის ახალ კრებულს კახა დევდარიანი, - დიდხანს ნაფიქრი და განცდილი. დანარჩენი კი უკვე მკითხველმა უნდა განსაჯოს.



ახალი წიგნი - ერთი პატარა ფერი მწერლობის პალიტრაში

## TV პროგრამა
1 ივლისი

### რუსთავი - 2
**07.00** დილა მშვიდობისა **07.30** სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“ **09.40** სერიალი „ასულ ტეკილა“ **10.20** 2003 წლის უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა **11.10** სერიალი „ჯაშუში“ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი „დატყვევებული გულები“ **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** უიმბლდონის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. ქალები. **18.00, 21.00, 03.00** კურიერი **18.20** უიმბლდონის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. ქალები. **19.40** სერიალი „დატყვევებული გულები“ **22.00** სერიალი „კომისარი მონტალბანო“ **22.50** ღამის კურიერი **00.20** სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“ **01.00** უიმბლდონის ჩემპიონატი. მეოთხედფინალი. ქალები. **02.00** უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა **03.20** კლასიკა

### პირველი არხი
**07.30** ალიონი **09.45** მხ. ფილმი „ჯენ ეირი“ **11.40** დოკ.სერიალი „ამსტერდამის ზოოპარკი“ **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **13.00** ლერერის შოუ **14.00** ჩოგბურთელ ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი „ბორჯომის თასი“. შესვენებისას „მოამბე“ **16.35** ტელესერიალი „ძილის წინ“ **16.55** შემეცნებითი ფილმი „ქვეყანა, ქვეყნები“ **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება“ **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** ჰოლივუდის ვარსკვლავები **19.20** ტელეთამაში „იმღერე რამე“ **21.00** ტელესერიალი „ეშმაკუნა“ **21.50** ხსოვნის საღამო **22.35** ტელესერიალი „ძილის წინ“ **23.00** „რა ხდება?“ **23.55** მხ. ფილმი „მე თქვენი აღარ მჯერა“.

### პირველი სტერეო
**08.00** მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი „მისტერ მაგუ“ მთ. რ-ში ლესლი ნილსენი. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** სველი ხაზი **00.00** „ბრავო“ „მისტერ ჰოლანდის ოპუსი“ მთ. რ-ში რიჩარდ დრეიფუსი. **01.40** „ღამურა“ „მთვრალი განთიადი“ მთ. რ-ში მელ გიბსონი, კურტ რასელი. **03.45** პაუზის გარეშე

### მეორე არხი
**19.00, 22.00** „მოამბე“ მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** ზღაპარ იყო **19.40** სერიალი „რვაფეხა“ **20.30** დოკ. ფილმი **20.45** ოქტაგონი **21.30** ასპარეზი **22.10** წარსულის ტერიტორია **22.40** მხ. ფილმი „სიკვდილი არავის უნდოდა“

### კავკასია
**12.00** მხ. ფილმი „თავში უქრის“ **13.30** მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა“ **15.00** მხ. ფილმი „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა „დღეს“ **17.15** მხ. ფილმი „ჩვილის გასეირნება“ **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი „შერკინება“

### იბერია
**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** ბურთი და მოედანი **10.50** მხ. ფილმი „როკის მეფეები“ **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. ფილმი **14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი „საუკუნოდ ჩემი“ **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. „ოჯახი გაქირავებით“ **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი „გამხდარი ნათლია“ **01.10** ღამის ფილმი

### მეცხრე არხი
**08.00** პროგრამა „დილა“ **10.00** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ **10.25** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“ **11.00** სერიალი „ქალი პოლიციელი“ მე-3 ს. **12.00, 15.15, 17.50, 19.50** მუსიკა **12.15** მხ. ფილმი „ცუდი ბიჭები“ **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.50** „მსოფლიო რაგბი“ **15.30** მხ. სერიალი „სირინოზები“ **16.30** დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“ **18.05** სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“ **18.25** მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“ **19.00** სერიალი „ქალი პოლიციელი“ **20.00** დოკ. სერიალი „კუდიანი ამბები“ 1-ლი ს. **21.15** სერიალი „სირინოზები“ **22.25** „ტელემეტრი“ **22.45** მოკლ. მხ. ფ. „სისხლი და ღალატი“ (აშშ) **23.20** „ცხელი ცხრიანი“ **00.20** მხ. ფილმი „დაუსრულებელი სიყვარული“.

### იმედი
**09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55** ქრონიკა **09.05, 13.15, 17.20, 01.30** იმედის მელოდიები **09.30** სერიალი „იუდას ქალი“ **10.30** სპორტ. პროგრამა „გოლი“ **11.05** დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისთვის“ **12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** სერიალი „ფორტ საგანი“ 1-ლი ს. **13.30** სერიალი „უკიდურესი ზღვარი“ **14.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია“ **15.15** კინონოსტალგია „განგსტერები“ **17.30** დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ მე-2 ს. **18.05** სერიალი „იუდას ქალი“ **19.30** სერიალი „ფორტ საგანი“ **20.30** ლარის მახე **21.05** სერიალი „მკვლელობის ილუზია“ **23.00** სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი“ **23.55** მძაფრსიუჟეტიანი კინო „მსხვილი კალიბრი“

### ევრიკა
**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** დოკ. ფილმი „ფანჯარა ევროპაში“ **12.30** სალონი **14.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** „სალონი“ **21.30** „სპორტის სამყარო“ **22.30** სტუდია „ეკონომისტი“ **23.30** მუსიკალური პაუზა **23.45** ტელესერიალი „ყავახანა“

### VII არხი
**09.10** მელოდია **09.25** „აჩიკუდა“ **09.50** „ბედნიერი ერი“ **09.55** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.20** მელოდია - **10.30** მობილურები **11.20** მელოდია . **11.40** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.25** კომპიუტერული თამაშები **12.35** დისნეი და მისი მეგობრები **12.55** კომპიუტერული ტექნიკა **18.20** კომპიუტერული ტექნიკა **19.00** „აჩიკუდა“ **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.25** „ღამის კაპრიზი“ - თემა: . **21.25** მობილურები **22.40** „კინოკლუბი“ - „თვითმკვლელობის მეფეები“. მძაფრსიუჟეტიანი . რეჟ: პიტერ ო, ფალონი. როლებში: კრისტოფერ უოკენი, დენის ლირი **00.10** აუდიო-ვიდეო-ტელე **00.45** ტელესერიალი „შიმშილი“-მე-7 სერია **01.25** მელოდია

### ОРТ
**07.00** „Доброе утро!“ **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды“ 11.05 Сериал „Убийство на Монастырских прудах“, 1 с. 12.05** „Путешествия натуралиста“ П.Любимцева **12.35** Дисней-клуб: „Ким Пять-с-плюсом“ **13.15 Детектив „Загадка миссис Коломбо“ 15.05** Док.сериал „Дикие штучки“ **15.25** „Пока все дома“ **16.15** „Кумиры“. Т.Глоба **16.55 Худ.фильм „Кукла“ 18.00** „Большая стирка“ **19.20 Сериал „Герой нашего племени“ 19.55 Худ.фильм „За кулисами“ 22.00, 00.30** Время **22.35 Худ.фильм „Дронго“ 23.40** „Тайны века“. „Ульяновы. Терновый венец“ **01.00** „На футболе“ **01.30** „Русский экстрим“ **02.00 Детектив „Информатор“**

### РТР
**06.45** „Доброе утро, Россия!“ **09.45 Сериал „Пейзаж с убийством“ 10.45 Сериал „Тени исчезают в полдень“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** Вести **12.20** „Короткое замыкание“ **13.20 Детектив „Марш Турецкого“.** „Синдикат киллеров“, 3 с. **14.15, 17.45** „Экспертиза“ **14.30** „Колоссальное хозяйство“ **14.45** Вести - Москва **15.20** „Что хочет женщина“ **16.10 Сериал „Московские окна“ 17.15 Сериал „Простые истины“ 18.20, 20.50** Вести. Дежурная часть **18.50, 03.00** „Дорожный патруль“ **19.05** Вести - Спорт **19.20, 21.30** Местное время. Вести - Москва **19.50 Сериал „Комиссар Рекс“ 21.50** „Спокойной ночи, малыши!“ **21.55 Сериал „Пейзаж с убийством“ 23.00 Детектив „Марш Турецкого“.** „Лекарство для покойника“, 1 с. **00.20 Худ.фильм „Китайский квартал“ 03.15 Сериал „Сеть“ 04.10 Сериал „Дживс и Вустер“**

### НТВ
**07.00** Утро на НТВ **10.05 Сериал „Жил-был я...“, 1 с. 11.00** „Сегодня утром“ **11.25** „Внимание! Розыск!“ „Опасный свидетель“ **12.00** „Растительная жизнь“. А.Апина **12.35** „Профессия-репортер“. „Русские сказки Боливии“ **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30** „Сегодня“ **13.30** „Страна Советов“ **14.35 Сериал „Дальнобойщики“ 15.45** „Криминал“ **16.35** „Принцип „Домино“. „Адюльтер. Бесчестие и любовь“ **18.30 Сериал „Скорая помощь 2“ 19.25** Док. драма „Преступление и наказание“ **20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 21.50 Сериал „Дальнобойщики“ 23.00** „Страна и мир“ **23.30 Сериал „Секс в большом городе“ 00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей“ 01.50** „Гордон“ **02.50 Сериал „Доктор“**

# ეგზოტიკური რეცეპტები კანადიდან

ეკა გვახარია

**კანადა** – სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში, უჭირავს კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილი და მიმდებარე კუნძულები: ვანკუვერი, დედოფალ შარლოტას კუნძულები, კანადის არქიპელაგი, ნიუფაუნდლენდი, კეიპ-ბრეტონი, ანტიკოსტი, პრინს ედუარდი.

**ფართობი:** 9.976.1 ათასი კვადრატული კმ.

**მოსახლეობა:** 31 მილიონი ადამიანი.

**ეთნიკური შემადგენლობა:** ბრიტანელები – 40%, ფრანგები – 27%, აზიელები - 5%, გერმანელები, იტალიელები, პოლონელები, უკრაინელები, უნგრელები, ბერძნები, ჰოლანდიელები – 16%, ამერიკელი ინდიელები და ესკიმოსები (დაახლოებით 600 სხვადასხვა ტომი) - 4%, შავკანიანები – 2%.

**სახელმწიფო ენები:** ინგლისური და ფრანგული.

**რელიგია:** კათოლიკები – 46%, პროტესტანტები – 41%, სხვა რელიგიების მიმდევრები – 13%.

**დედაქალაქი:** ოტავა.

**უდიდესი ქალაქები:** ტორონტო, მონრეალი, ვანკუვერი, კალგარი.

**სახელმწიფო წყობა:** კონსტიტუციური მონარქია.

**ფულის ერთეული:** კანადური დოლარი.

კანადა – ეკოლოგიურად ერთ-ერთი ყველაზე სუფთა ქვეყანაა მსოფლიოში. ლიდერობს იმ ქვეყნების სიაში, რომლებიც საუკეთესოდ ითვლება საცხოვრებლად შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ცხოვრების საერთო დონე, ეკოლოგია, კულტურა და ხელოვნება, განათლება და ა. შ.

კანადაზე საუბრისას არ შეიძლება, არ წარმოგიდგეთ თვალწინ ჯანმრთელი ხისმჭრელი კანადელები, ან ჰოკეისტების მაისურებზე გამოსახული ნეკერჩხალის ფოთლები. გაზაფხულობით კანადაში მასობრივად იჭრება გამხმარი ნეკერჩხლები, რომლისგანაც ნეკერჩხლის შაქარს, შემდეგ კი ნეკერჩხლის სიროპს ამზადებენ – ის კანადური სამზარეულოს ერთ-ერთი მთავარი ინგრედიენტი გახლავთ.

საერთოდ კანადური კულინარია ინგლისურ და ფრანგულ ტრადიციებს ეფუძნება. კანადური სამზარეულოსათვის ყველაზე დამახასიათებელია ცომეული და ტკბილეული. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი მენიუს გამდიდრებაში:


ხილის უგემრიელესი ღვეზელები კანადელების სიამაყე



**ღვეზელი მოცვით კანადურად.**

**ინგრედიენტები:**

350 გრამი ფქვილი
150 გრამი კარაქი
500 გრამი მოცვი (შეგიძლიათ, ნებისმიერი სხვა ხილის გამოყენებაც)
2 სუფრის კოვზი ფქვილი
1 ჭიქა შაქარი
2 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი
მარილი
რამდენიმე კოვზი წყალი

**მომზადების წესი:**

ფქვილი, მარილი და კარაქი კარგად აურიეთ, ნელ-ნელა დაამატეთ წყალი და მოზილეთ მკრივი ცომი. ცომის ერთი ნაწილი გაასწორეთ ცხიმწასმულ ტაფაზე, ზემოდან დანამეთ ზეითუნის ზეთით, მოაყარეთ მოცვი, 2 სუფრის კოვზი ფქვილი და ცომის მეორე ნაწილი დააფარეთ, შედგით გაზქურაში და გააჩერეთ ნახევარი საათი.

**მიწის თხილის "ჯოხები"**

**ინგრედიენტები:**

250 გრამი ფქვილი
250 გრამი დანაყული მიწის თხილი
1 ჭიქა შაქარი
2 ათქვეფილი კვერცხი
1 სუფრის კოვზი რძე
1-2 სუფრის კოვზი ზეთი
ნახევარი ჩაის კოვზი მარილი

**მომზადების წესი:**

ყველა კომპონენტი აურიეთ და მოზილეთ ცომი, დაჭერით ერთი სანტიმეტრის სისქის წვრილ ზოლებად, დაალაგეთ ტაფაზე და გაზქურაში გააჩერეთ 20 წუთის განმავლობაში.

ორივე კანადური დესერტი ძალიან გემრიელია და ამავე დროს საკმაოდ იოლი მოსამზადებელი. ასე რომ, თუ სტუმრები გაუთვალისწინებლად გეწვივნენ, კანადური ტკბილეულობა უცებ გამოგიყვანთ უხერხული მდგომარეობიდან.

# ნაომი ყველაზე მაგარია!



როგორც ჩანს, ნაომი კემპბელის როლს ჯუდი შეკონი ითამაშებს. "უკვე შემომთავაზეს, მაგრამ ჯერ კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. არადა, ძალიან მინდა, ფილმში ნაომი ვითამაშო," - თქვა ჯუდიმ. "ნაომის არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ, მგონი, საოცარი ქალია. მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ბევრ ცუდს წერენ, ის მაინც კერპად რჩება". ნაომი კი თავისი ბიოგრაფიის არაოფიციალური ვერსიის ეკრანიზაციის პერსპექტივის გამო სრულიად გაცოფებულია, რადგან ლესლი-ენ ჯონსის წიგნში, რომლის მიხედვითაც ფილმს იღებენ, მრავალი არცთუ კარგი ამბავია მოყოლილი: რომანი მაიკ ტაისონთან, რობერტ დე ნიროსთან გაჩაღებული სასიყვარულო ისტორიები, თვითმკვლელობის მცდელობები, პორნოგრაფიული სატელეფონო საუბრები სილვესტერ სტალონესთან. თუმცა, ჯუდი შეკონი მართალს ბრძანებს – საძაგელი რეპუტაციის მიუხედავად, ნაომი მაინც ერთადერთია. ეს მოსაზრება გასულ კვირასაც დადასტურდა, მამაკაცის მოდის მილანური კვირეულის დროს. მართალია, ერთ-ერთი კოლექციის ჩვენებისას პირველ რიგებში მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა-ჯონსიც ისხდნენ, მაგრამ როდესაც პოდიუმზე ნაომი კემპბელი გამოცხადდა - უნაკლო სხეულითა და „დოლჩე & გაბანას“ საცურაო კოსტუმით, რეპორტიორებს ეს ცნობილი წყვილიც კი მიავიწყდათ... საეჭვოა, რომ დარბაზში მსხდომი მამაკაცები ამის შემდეგ მომავალი სეზონის ტენდენციებით დაინტერესებულიყვნენ...

# ჰარლი დევიდსონი 100 წლისაა

კვირას ჰარლი დევიდსონის 100 წლისთავი ბარსელონაში ათასობით მოტოციკლეტის ძრავის გრიალით აღინიშნა. ამ დღეს ჩრდილოეთ ესპანეთს 15 ათასი "ჰარლი დევიდსონის" მფლობელი ეწვია. საკულტო მოტოციკლეტებზე მსხდომი მოსვირინგებული ახალგაზრდები ქალაქის მთავარ ქუჩაზე დაქროდნენ, კონცერტებზე „სტრენგლერსი“ და სხვა ჯგუფები გამოდიოდნენ, გამოფენებსა და წარმოდგენებზე ლეგენდარულ მოტოციკლეტებზე ამხედრებული ელვის პრესლისა და ჯონ ბონ ჯოვის ნახვაც შეიძლებოდა.

ბარსელონამდე ჰარლი დევიდსონის საიუბილეო ფესტივალი ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიისა და აზიის შვიდ ქალაქში გაიმართა. "დაბადების დღის" ტურნე, რომელიც გასულ წელს დაიწყო, 27 ივლისს ჰამბურგში დასრულდება.

ყველაფერი კი 1903 წელს დაიწყო, როცა ძმებმა არტურ და ვალტერ დევიდსონებმა შტატ ვისკონსინში პირველი ჰარლი დევიდსონი დაამზადეს.



ჰარლი დევიდსონის ფანებმა ბარსელონას ქუჩები წალეკეს

ოჯახური ინტერესების დაცვის სასამართლო
ქალაქი: რიშონ-ლეციონი, ისრაელი

საქმე: 61/02; ბავშვთა შვილება-გაშვილების თაობაზე
ეხება მოპასუხე: ეხოშკალაშვილი ზვიარიონ (ზვიო), საქართველო, მისამართი უცნობია

განხილვა: მიზანი დაბადებული 29.03.1998 წ.

[illegible]

დადგენილია სასამართლო პროცესი 07.07.2003 დილის 09:00 საათზე [illegible] ქალაქ რიშონ-ლეციონში ოჯახური ინტერესების დაცვის სასამართლოში, ისრაელ გალილის ქუჩა #5. [illegible]

[illegible]

მიხალ ბიტონი
ბავშვთა შვილება-გაშვილების განყოფილების მსახური.




თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზია და მაკა მახარაძე თავისი პატარა ბალერინებით წარმოგიდგენთ:

მორის მეტერლინკი

ლურჯი ფრინველი

საბენეფისო წარმოდგენა: 1 ივლისს 18 სთ. 2 ივლისს 16 და 20 სთ.

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდსასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.







